ყოველთვიური ბეჭდური, „ელექტრონული" ფორმით

ვერსია

№121 (877) 18 - 19 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი

ინაუგურაცია გაუქმებულ სასაფლაოზე

გვ. 3

რეპორტაჟი რუსთაველის გამზირიდან

გვ. 12

„დათრობის მერე, ქართველ კაცებში ძალუმად იღვიძებს გიორგი სააკაძე და „ჰაიტ ურჯულოებო"-ს ძახილით იწყება დებოში!"

გვ. 7

რა პრობლემებზე საუბრობენ თურქული, არაბული და ირანული ბარების მფლობელები და დაცვის წევრები

კონსტანტინე გამსახურდია

„ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება სრულიად გაუგებარია!"

გვ. 5

ქართული ცხვრის ექსპორტი ჩავარდა

რა პრობლემების მოგვარებას ითხოვენ მეცხვარეები

გვ. 6

ლიბერთი ბანკისა და Smartex ჯგუფის ორგანიზებით Startup Weekend თბილისი გაიხსნა

გვ. 4

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ლიტო გელოვანი

კანალიზაციური სუიციდი

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

დიტო გელოვანი

ფილოსოფოსები ამბობენ, რომ სიცოცხლე გადაჯაჭვულია სიკვდილთან. სიკვდილი სიცოცხლის შემდეგ კი არ დგება — მას თვით ცხოვრებაში უდევს წილი. ჩვენს სულიერ ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს ყოველდღიური ცხოვრების მკვდარი ნარჩენები ან მათი მკვდარი პროდუქტები და ხშირად ადამიანი აღმოაჩენს, რომ ეს მკვდარი ნარჩენები ცხოვრების მთელ სივრცეშია განფენილი და ცოცხალი გრძნობისთვის, ცოცხალი აზრისთვის, ჭეშმარიტი ცხოვრებისთვის ადგილს არ ტოვებს.

(მერაბ მამარდაშვილი, „ცნობიერების ტოპოლოგია“)

კანალიზაციური სუიციდი

ფოტო: სერგო ლაძის ნაწერი

იმ ვერტალიოტისა არ იყოს, ღრუბელ-ღრუბელ რომ მიფრინავდა... და, იმ აწუკვე მოდური გამოთქმისა არ იყოს, მიფრინდა იქ, სადაც მიფრინდა და დაფრინდა იქ, სადაც დაფრინდა. იქ უნდა მიფრენილიყო და იქ უნდა დაფრენილიყო, მარშრუტი მკაცრად იყო განსაზღვრული, ტრაექტორიაც, მომხდურ-დამხდურებიცა და მაქებარ-გამხსენებლებიც. მაშინ ეგრე იყო, დრო იყო ეგეთი, ასე იყო საჭირო — სხვანაირად მტერს გულს ვერ გაუხეთქავდი. მტრის გულის ხეთქვა ხომ 21-ე საუკუნის ყველაზე ბასრი იარაღია!

პირველად იყო სიტყვა, მეორედაც სიტყვა იყო, მესამედაც სიტყვა იყო, მეოთხედაც და მეხუთედაც და ეს სიტყვები — „სიტყვები არ მყოფნის“ — იყო სრულიად უადგილო. მხოლოდ სიტყვები იყო და ძალიან სასაცილოდ სატირალია, როცა მხოლოდ სიტყვებია და ამ დროს კი, შენ სიტყვები არ გყოფნის.

ასეთი სასაცილოდ სატირალი იყო მაშინ, როცა მკვირცხლი და უჩინარი ვერტალიოტის ამბავი გვაუწყეს და მარტოხელა მამაცი პოლიციელის ისტორიას მოყვნენ. ხომ გახსოვთ — პრეზიდენტიანი ვერტალიოტი ღრუბელ-ღრუბელ რომ მიფრინავდა, ეული სამართალდამცველი კი მარტოდმარტო აკავებდა მტრის მრავალრიცხოვან ურდოს.

მაშინ მართლაც არ გვყოფნიდა სიტყვები და ეს — სიტყვათა ძიება იყო ერთადერთი, რამაც მაშინ ერი გააერთიანა. ვიღაცას სიტყვები არ ყოფნიდა, ვერტალიოტის მამაცი მგზავრი და მისი მიწიერი მცველი რომ შეექო, ვიღაცა კი სლუკუნ-სლუკუნით ცდილობდა მაგარ-მაგარი სიტყვების პოვნას. არავის ყოფნიდა სიტყვები, თუმცა გამწარებულთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა აღფრთოვანებულთა შემჭიდროებულ რიგებს, მაგრამ ტელევიზორში მხოლოდ ეს უკანასკნელები ჩანდნენ.

ეს უკანასკნელები... აი, კვლავ არ მეყო სიტყვები, არადა რამდენი სიტყვა მიტრიალებს თავში და დილემაა: ჩამოვთვალო და, როგორ ჩამოვთვალო? აღზრდა არ მაძლევს უფლებას. არ ჩამოვთვალო და, როგორ არ ჩამოვთვალო? აღზრდა მაიძულებს, გულში არაფერი დავიტოვო, ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, შეძლებისდაგვარად — კორექტულად, მაგრამ ამ კორექტულობაში ვიჭედები ხოლმე. ხოლმე რა... თითქმის ვერასოდეს ვახერხებ. ადრესატი მყავს განსაკუთრებული — აყროლებული თევზი, განსაკუთრებით კი, თევზის თავი. თევზი ხომ თავიდან ყროლდება და თითქოს მისი დანარჩენი ორგანოები თავით აღშფოთებულები უნდა იყვნენ, მაგრამ ორგანოსაც გააჩნია და თუ გინახავთ ან თუ გსმენიათ ისეთი ღორის შესახებ, რომელიც ქუჩაში დაყრილ საჭმლის ნარჩენებს აღეშფოთებინა ან თუნდაც შეეშფოთებინა? „აფერუმ, შენს დამყრელს“ — ფიქრობენ ისინი და ასევე ფიქრებში დასძენენ: „აფერუმ, შენი დამყრელის გამზრდელს“.

„შეიძლება ვინმემ ამ სიტყვებისთვის გამკიცხოს, თუმცა ისევე, როგორც მთლიანად ამ წერილისთვის, მაგრამ მაინც ხმამაღლა ვიტყვი, რომ თქვენ მე კიდევ უფრო გააზრებულ პატრიოტად მაქციეთ. მე და ჩემთან ერთად, ათასობით ამ ქვეყნის მოქალაქემ, დღეს ზუსტად ვიცით, რას გულისხმობს სიტყვა პატრიოტიზმი, რა გვიყვარს, რა გვინდა, საით მივდივართ და რა გვეამაყება... და ამისთვის გულწრფელ მადლობას გიხდით...“ — ეს სიტყვები არ გამოქვეყნებულა არც „პრავდაში“, არც „ტრუდში“ არც „კომუნისტში“ და არც „ახალგაზრდა კომუნისტში“. ამ სიტყვების ავტორი არც მოწინავე ზეინკალია და არც გმირი მეჩაიე, არც ცხვირმოუხოცავი ბავშვია და არც მარაზმში მყოფი ბებერი. მისი ვინაობა სულაც არ არის საინტერესო, მისი სახელი არაფერს გვეტყვის... ჰა — გაგიგიათ ვინმეს ქეთუსია იგნატოვა?

გეტყვით — ის არის მუდმივი ავტორი ერთი პრივილეგირებული გაზეთის რუბრიკისა, სახელწოდებით „გულახდილად“. გულახდილობის ბოლო ფეიერვერკი კი ასე იწყება: „დღეს მე არც ობიექტური მინდა ვიყო, არც არაფრის გაანალიზება-შეფასებას, ნეგატიურზე საუბარს არ ვაპირებ. არ მინდა!“

არ უნდა!!! მაგრამ რატომ არ უნდა? და საერთოდ რა უნდა? რა უნდა უნდოდეს საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ-დაბერებულ ადამიანს, რომელიც მხოლოდ ბოლო ათ წელიწადში ჩასწვდა სიტყვა „პატრიოტიზმის“ არსს და როგორც მისივე სიტყვებიდან ირკვევა, იგი ვერ აღზარდეს ვერც მშობლებმა, ვერც მასწავლებლებმა, ლექტორებმა, წიგნებმა, ფილმებმა და პატრიოტიზმის მაგალითებმა, რომელიც მრავლად მოგვეპოვება ისტორიაში და ისტორიაც რომ არა, ჩვენს თვალწინ მომხდარა უამრავი რამ და დღეს აცხადებს „სახელმწიფოებრივი აზროვნება თქვენ განავითარეთ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებად თქვენ აღგვზარდეთ... თქვენ მე კიდევ უფრო გააზრებულ პატრიოტად მაქციეთ. მე და ჩემთან ერთად, ათასობით ამ ქვეყნის მოქალაქემ ზუსტად ვიცით, რას გულისხმობს სიტყვა — პატრიოტიზმი“ – ამ სიტყვებს თითქოს 75-80 წლით უკან გადავყავართ, მათი ავტორი კი, გეგონება, უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელია, მომავალი მოწინავე მწველავი, რომელიც, თუ პარტია უბრძანებს, თვითონაც მოიწველება.

„მადლობა სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის“ — ეს ადრე იყო, „ჩემი შვილები მიშას თაობას წარმოადგენენ, ამ ტერმინის საუკეთესო მნიშვნელობით, და მე ამით ამაყი ვარ“, — ეს იყო ერთი კვირის წინ და მისი ავტორი, ისევ და ისევ, მოწინავე მწველავია. ეგ არის, რომ ამ სიტყვებმა — „მოწველა“, „მწველავი“ — დღეს უკვე სულ სხვა დატვირთვა შეიძინა.

ისინი სახელმწიფოს წველიდნენ და ღირსების ორდენებით ჯილდოვდებოდნენ, ჯილდოვდებოდნენ ბიზნესწილებით, მიწის ნაკვეთებით, ბინებით, მანქანებით, ფულადი პრემიებით და, რაც მთავარია, დაუსჯელობით. „ტელევიზ 2“-ში მხოლოდ ისინი ჩანდნენ იმათი გულის გასახეთქად, ვინც დედის რძესთან ერთად შეისისხლხორცა სამშობლოს სიყვარული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა. „ჩვენ დავბრუნდებით“, — არწმუნებენ დღეს ერთმანეთს, მაგრამ თვითონვე არ სჯერათ არც ერთმანეთის, არც ნაგვის დამყრელის და არც ნაგვის დამყრელის აღმზრდელის. ის ხომ დღეს იმ ნაგავს ყრის, რომელსაც ღორიც კი არ შეჭამს.

იმ ვერტალიოტისა არ იყოს, რომელიც არ მიფრინავდა... იმ პოლიციელისა არ იყოს, რომელიც არ იცავდა და იმ მტრისა არ იყოს, რომელსაც მეგობრულად გაუღეს კარი.

ამათ რა იციან კვირის ამბები? ამათ არ იციან ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში და, მართალი გითხრათ, მეც მხოლოდ რამდენიმე ვიცი, ერთი კი, განსაკუთრებულად — დიდი ნაგავი მოვიშორეთ, ხოლო ეს კარგია, მაგრამ ისიც ხომ არის, რომ ნაგავი მიაქვთ, სუნი კი რჩება, რჩება რაღაც დროის განმავლობაში და თუ ამ სუნის მოშორება გვინდა, არ უნდა დავიზაროთ, ცოცხსა და წყლის ჭავლს თავდაპირველი დანიშნულება უნდა დავუბრუნოთ.

ის წავიდა. ვიღაცამ — წაშავდაო, ვიღაცამ — წაეთრაო. რაც არის და როგორც არის. აღარ არის, მაგრამ ხანდახან ტელევიზორში რომ გაიელვებს ხოლმე, ეგეც და მაგის წუკლარებიც, სულ ისეთი განცდა მაქვს, საცობში რომ მიჩანჩალებ და წინ ნაგვის მანქანა მიგიძღვება, თავისი ნაგვით, ჭუჭყითა და სუნით, თუმცა სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად, მე, მენაგვეებისადმი პატივისცემით ვიმსჭვალები. ვიღაც ხომ უნდა იყოს მენაგვე და, რატომ არ უნდა ვიყოთ ყველანი მენაგვეები დღეს, როცა საქართველოში ამდენი ნაგავია? სხვათა შორის — ჩვენს მიერვე დაყრილი.

ახალი დასრულებულია ინაუგურაცია და ცოტა არ იყოს, გახარებული ვარ. 1 ოქტომბერი იყო, 27 ოქტომბერი იყო, მაგრამ ეს იყო „თითქმის“, ახლა კი, არის „ცოტაცა... ცოტაცა და...“

წავიდა, მაგრამ უნდა დავაბრუნოთ. სხვანაირადაც შეიძლება თქმა — წაეთრა, მაგრამ უნდა ჩამოვათრიოთ. მინდოდა დამეყოლებინა, — კი გაქუსლა, მაგრამ უნდა ჩავჩექმოთმეთქი, მაგრამ ვიცი ლიბერალების სენსიტიური დამოკიდებულება პოლიტკორექტულობისადმი და გავჩუმდი. რავი... დუმილი ოქროაო და ვინც ამდენ ხანს დუმდა, ყველა მილიონერი გამოდის, ოქროს მარაგით პირველები ვართ. ეკონომიკაში სუსტი ვარ, ფინანსებშიც და ჩემი მოკლე ჭკუით ეგრე მგონია, რომ ხანდახან ბევრი ოქრო 30 ვერცხლს უდრის. ეს — მათზე, ვინც ბევრს დუმდა და მათზეც, ვინც ბევრს ლაპარაკობდა და იდორბლებოდა. განსაკუთრებით კი მათზე, ვინც დუმილით იშოვა და ახლა ლაპარაკით შოულობს.

გუშინ დიდი დღე იყო და ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი. მგონია, რომ გაკვეთილი ვისწავლეთ, მგონია, რომ გამოცდა ჩავაბარეთ, მგონია, რომ სიმწიფის ატესტატსაც ავიღებთ. მგონია, ანუ იმედი მაქვს, თუმცა... ვნახოთ, ვნახოთ.

ნაცები ამბობენ, დავბრუნდებითო. მტერს — მაგათი დაბრუნება. მტერს — ისეთი დაბრუნება, როგორიც მაგათთვის გვემეტება. ზუსტადაც, რომ მტრები არიან და სუნიც მტრული უდით.

გასაწმენდია, მოსარეცხია სრულად და მთლიანად ისე, რომ ჩიორას სკინტლიც კი არ დარჩეს.

აი, ნიჭიერი რომ არის, გადაცემა... ნაცებზე ნიჭიერი ჯერ არავინ მინახავს. ბარონი მიუნჰაუზენი იტყუებოდა, როცა ამბობდა, თმებში ვიტაცე ხელი და საკუთარი თავი ჭაობიდან ამოვათრიეო. ხოლო ამათ, ნაცებმა, ჩვენს თვალწინ ამოყვეს თავი და ჩვენს თვალწინვე ამოწიეს ის რაღაც, რის ამოწევასაც წყლის თქრიალი მოსდევს ხოლმე.

ჩაირეცხნენ.

ა.ნ. (ანუ ნაცებს) ირგვლივ მიმოიხედეთ და დაინახავთ საზოგადოებას, მდგომარეობას — მე ვიტყოდი... ასაკგადაცილებულ დებილებს, რომლებიც ბავშვობის ასაკში ჩარჩნენ და მთელ გარემომცველ სამყაროს ისე აღიქვამენ, თითქოს მასში რაღაც მათთან მიმართებით ხდება და არა — თავისთავად.

(მერაბ მამარდაშვილი, „ცნობიერების ტოპოლოგია“)

ინაუგურაცია გაუქმებულ სასაფლაოზე

რეზო შატაკიშვილი

თავიდანვე ითქვა, რომ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია არ იქნებოდა პომპეზური. ამ განცხადებაში იდო ინტრიგა – მითითება მომჭირნეობაზე, იმაზე, რომ არ დაიხარჯებოდა იმდენი, რამდენიც იხარჯებოდა მიხეილის აღსაყდრებაზე და კიდევ რაღაც – სანახაობის სისადავის მოლოდინის გამჩენი. სანახაობისა, რომელსაც არ ეყოლებოდა ერთი რეჟისორი და როგორც აანონსებდნენ – ადგილი ექნებოდა კოლექტიურ რეჟისურას, აკი, ბრძანეს კიდეც, ინაუგურაცია სპექტაკლი არაა, ერთი რეჟისორი რომ ჰყავდესო. ეგეც კენჭი მიხეილის ბოსტანში – სპექტაკლებს რომ გვიდგამდა.



იმ ბრძანებულებით კი, რომელიც შევარდნაძისდროინდელია, დღემდე მოქმედია და განსაზღვრავს ინაუგურაციის ჩატარების წესს, ინაუგურაცია პარლამენტის წინ უნდა გამართულიყო. რომელი პარლამენტის – გაუქმებულის თბილისში თუ მოქმედის – ქუთაისში? იმ ბრძანებულებას თუ მივყვებოდით – მოქმედის, მაშასადამე ქუთაისში. იმთავითვე ცხადი იყო, რომ შევარდნაძისდროინდელ ამ ბრძანებულებას დიდად არავინ დაიცავდა, თბილისზე უარს არავინ იტყოდა და არც ითქვა – ინაუგურაცია გაუქმებული პარლამენტის ეზოში შედგა. პომპეზურობა, მართლაც, გამოირიცხა – იმ ეზოში, სულაც რომ თავზე ვარდის ფურცელი ეყრიათ ძველი რომაელივით, პომპეზური მაინც ვერანაირად ვერ იქნებოდა. ამ გეოგრაფიამ ინაუგურაცია უცებ კამერულიც გახადა, ინაუგურაცია ჩაკეტილ სივრცეში და არა – გარეთ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

გაირკვა გეოგრაფია და რატომღაც ამეკვიატა ირაკლი სამსონაძის პოპულარული პიესის სახელწოდება – „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“. რატომ ამეკვიატა? იმიტომ, რომ ეს გაუქმებული პარლამენტიც, სინამდვილეში, იუნკერების ძვლებზე დგას და გაუქმებული სასაფლაოა? არც უამისობაა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ამან იმოქმედა – ახალი ეპოქა სამშობიარო ადგილად ირჩევს გაუქმებულ ეზოს, ფუნქციადაკარგულს. მალევე ირკვევა ისიც, რომ ინაუგურაცია ვიწრო წრეში კეთდება და მას არ დაესწრება ბევრი უცხოელი სტუმარი. თამასა, ამ მხრივ, მიხეილს იმ სიმაღლეზე ჰქონდა აწეული, მასთან მარცხს იოლად თუ დააღწევდი თავს – 2004 წელს, ინაუგურაციაზე, მრავალ პრეზიდენტთან ერთად, იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი. მიდი და გადაუჯოკრე! ჯოკერი ორად ორია დუნიაზე – ერთი ობამა და მეორე პუტინი. ობამას ვინ ჩივის, ნორლანდისამარა დავრჩით.

მალევე გაირკვა კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ყველაზე პიკანტური აღმოჩნდა მთელ ამ ისტორიაში – დასწრება მოსაწვევებით, მკაცრად კონტროლირებადით. ამ ფაქტმა საშინელი რეაქცია გამოიწვია თავად ხელისუფლების მომხრეებში, ხალხმა უცებ დისტანცია იგრძნო მათ მიერ ახლახან არჩეულ პრეზიდენტთან. ამის მოხერხებას მართლა დიდი მარიფათი უნდა! ხელისუფლების თავისმართლება ცოტა უტიფრობასაც კი დაემსგავსა – რა მნიშვნელობა ჰქონდა, სანახაობა ეზოს შიგნით იქნებოდა თუ ეზოს გარეთ, როგორც ეს ხდებოდა ედუარდისა თუ მიშას დროს? ვიწრო წრეში გაგონილა ქორწილის, ქელეხის, ნათლობის, ძეობის გადახდა, მაგრამ ინაუგურაციის? ბარემ ამდგარიყვნენ და პრემიერის ეზოში – გაჭენებული ზებრის ფონზე ჩაეტარებინათ, ანდა არჩევნებიც ვიწრო წრეში ჩაეტარებინათ, ხალხს რაღას აწვალებდნენ? ისე, მეც ვაბრახუნებ – რა, ვიწრო წრეში არ ჩატარდა არჩევნები, თუ? მეტი რაღა ვიწრო წრე გინდა – მოსახლეობის ნახევარიც არ მისულა. რომ ჰკითხო, პომპეზურობა არ უყვართ, პომპეზურად კი გამოგვიცხადეს – ეს იყო ყველაზე პატიოსანი არჩევნები, რაც კი საქართველოში ჩატარებულაო, გეგონება, ზვიად გამსახურდია ხალხმა ბოზური, კახპაარჩევნებით აირჩია. მართლაც და, რა იყო ამ არჩევნების ღირსება?

ამ საპრეზიდენტო არჩევნების ჩათვლით, საქართველოში ჩატარდა 6 საპრეზიდენტო არჩევნები და ამ არჩევნებზე მივიდა ყველაზე ცოტა ხალხი.

თავად განსაჯეთ – 1991 წელს არჩევნებზე მივიდა 2 978 247 ამომრჩეველი, 1995 წელს – 2 139 369 ამომრჩეველი, 2000 წელს – 2 343 176 ამომრჩეველი, 2004 წელს – 1 963 556 ამომრჩეველი, 2008 წელს – 1 982 318 ამომრჩეველი და ახლა კი – 1661 037 ამომრჩეველი ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 46,95 %! ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი საერთოდ არც მივიდა არჩევნებზე და თუ ესაა პატიოსნების საიდუმლო, უცნაური რამ ყოფილა ეს პატიოსნება. ნინელი ჭანკვეტაძემ ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა ქართველის სიზარმაცით ახსნა – იცოდა ხალხმა, მარგველაშვილი მაინც რომ მოიგებდა და მაგიტომ დაეზარა მოსვლაო. ანუ ვინც არ მივიდა, ისევ მეოცნებეთა ელექტორატად გამოაცხადა, აპათიასა და უიმედობაში ჩავარდნილად კი არა, კვლავ მეოცნებედ, ოღონდ ზარმაც მეოცნებედ. 1991 წელს ყველამ იცოდა, რომ ზვიად გამსახურდია ტრიუმფით მოიგებდა არჩევნებს, მაგრამ ხალხი მივიდა, ასევე, ვარდების რევოლუციის მერეც ყველამ იცოდა, რომ სააკაშვილი გაიმარჯვებდა, მაგრამ ხალხი მივიდა. ასე რომ, თავს ნუ მოიტყუებთ და გულგრილობას სიზარმაცედ ნუ შემოგვასაღებთ.

აქტივობაც იქით იყოს, პროცენტებიც, რამდენმა კაცმა მისცა ხმა მარგველაშვილს? 1 012 597-მა კაცმა მაშინ, როცა ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა 2 565 362-მა კაცმა! ედუარდ შევარდნაძეს 1995 წელს 1 589 909-მა კაცმა, 2000 წელს – 1 870 311 კაცმა. სააკაშვილს 2004-ში — 1 890 256-მა კაცმა, 2008-ში 1 059 647-მა კაცმა ანუ რა გამოდის? მარგველაშვილს ყველაზე ნაკლები ხმა მიუღია ამ 6 საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს ციფრები ისე გავიხსენე, ყოველი შემთხვევისთვის. პომპეზურ ამბიციებს კარგად აგრილებს. როგორც ჩანს, კარგადაც გააგრილა და ამიტომაც ამჯობინეს ვიწრო წრეში აღნიშვნა ინაუგურაციის. რიგითი ამომრჩეველი მიხვდა კიდეც – ეტყობა, იმედი არ ჰქონდათ, რომ ხალხი მივიდოდა ინაუგურაციაზე, ხალხის სიხალვათეს მოერიდნენ და ეზოში იმიტომაც შეიკეტნენო. დავუბრუნდეთ ინაუგურაციას – არაპომპეზურს, რომლის მოლოდინმა საზოგადოების ნაწილი „წუნა და წრუწუნას“ პერსონაჟებს დაამსგავსა – ნეტა ინაუგურაციაზე არ დაგვპატიჟებენ?! ბევრზე ბევრი დარჩა „ზაბორ“ აქეთ, მათ შორის ოპოზიცია. ნაციონალებმა თავად თქვეს უარი მისვლაზე, სხვა ოპოზიციური პარტიები არც დაუპატიჟიათ. რა სიგნალია, ვითომ ძაან „სვეტსკი“?!

ნაციონალებმა უარი თქვეს მისვლაზე და ახსნეს კიდეც მიუსვლელობის მიზეზი, თუმცა მათი ეს ქმედება რაღაცით მაინც გაბუტვას დაემსგავსა. სჯობდა, მისულიყვნენ. აი, მიხეილს კი არ გაემტყუნება – არც უნდა მისულიყო. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ უმრავლესობის ლიდერმა, ქე რომ გუშინწინ დავით გამყრელიძის იყო – ბატონმა საგანელიძემ ინაუგურაციამდე 2 კვირით ადრე ისტერიკები მოაწყო — თუ მიშა მოვა, მე არ მოვალ, მაგის გვერდით დგომა არ მინდაო. მიშას აუხდენელი ოცნება ხომ საგანელიძის გვერდით დგომა იყო და არის – რას ამბობთ?! ბატონმა საგანელიძემ იმთავითვე ეგ სიგნალი გაუშვა – ეს ჩვენი ზეიმია, ამ ზეიმზე მიშას ადგილი არაა. ამასაც „მოხერხება“ უნდა – უნდა ეცადო, შენი ზეიმი საერთო-სახალხოდ აქციო და არა პირიქით – საერთო „შენამდე“ დაიყვანო, ვიწრო წრეში ამოახრჩო. მარტო ის დაპატიჟო, ვის გვერდით დგომაც გიხარია. ეტყობა, ამიტომაც არ დაპატიჟეს სხვა ოპოზიციური პარტიები, კიდევ ერთი უხერხულობა ააცილეს ბატონ საგანელიძეს – ფიქრია ჩიხრაძისა და მამუკა კაციტაძის გვერდით დგომა. არა მგონია, მიხეილს საგანელიძის განცდებისთვის დაეგდო ყური, იგი არ მივიდა იმის გამო, რომ პრეზიდენტის სასახლეზე უარი თქვა ბატონმა მარგველაშვილმა, ესეც ვითომ ყაირათიანობის ეგიდით. სასახლის აშენებაზე უარის თქმა – სწორედაც რომ ყაირათიანობაა, მაგრამ როდესაც აშენებულში არ შედიხარ და თან პირიქით, ახლის შენება მიდის საშენოდ, ესეც ყაირათიანობაა? კაი, დავიჯერებდი, რომ ამხელა არ უნდათ, პატარას იშენებენ- მეთქი, მაგრამ იმ პატარის აშენებამდეც რომ არ შეხვალ და პრემიერის კაბინეტში დადგები მდგმურად, ამას რაღა ჰქვია, კიდევ ყაირათი თუ იმ ყველაფრის გაუფასურება, რასაც შენამდე ჰქონია ადგილი? ჰოდა, რაღატომ უნდა მისულიყო მიხეილი, წესით, იგი სასახლეში უნდა დახვედროდა ახალ პრეზიდენტს და გადაებარებინა, მაგრამ მივიდა ვინმე სასახლეში?

ეგ არაფერი, საქართველო შეჩვეულია ინაუგურაციებს წინა პრეზიდენტების გარეშე. მაგრამ საქართველო არაა შეჩვეული ინაუგურაციებს პირველი ლედის გარეშე. რაც უნდა მელა-პარაკო ახალ კონსტიტუციაზე, ახალ ბალანსზე, პრემიერის გაზრდილ და პრეზიდენტის შემცირებულ უფლებებზე, მოკლედ, კომპასი საითაც უნდა შეატრიალო, იმ ქვეყანაში სადაც პრეზიდენტია, პირველი ლედი მაინც პრეზიდენტის მეუღლეა. ეს ისე, საზოგადოდ, ახლა კი საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა განცხადება იმაზედ, რომ მაკა ჩიჩუა არ იდგებოდა მარგველაშვილის გვერდით. რომ გითხრათ, ლამაზი განცხადება იყო-მეთქი მისი მხრიდან, დამიჯერებთ? საქართველოს საგარეო საქმეთა ბევრი მინისტრი ჰყოლია, სუსტიც, ძლიერიც, ასეთიც, ისეთიც, მაგრამ ჯერ არც ერთი საგარეო საქმეთა მინისტრი პრეზიდენტის საშინაო საქმეებში არ ჩარეულა, პრეზიდენტის საძინებლის კარი არ შეუღია, ბოლო ბოლო ვერ გავიგე, საგარეო საქმეთა მინისტრია თუ დედა ფებრონია?

მოკლედ, არ მიუშვეს ხალხი, არ მიუშვეს ოპოზიცია, არ მივიდა მიშა... ცოტა სტუმარი უცხოეთიდან და გვერდზე გაწეული მაკა ჩიჩუა. ესეც ჩვენი ულიმღამო ინაუგურაცია, ინაუგურაცია ვიწრო წრეში. აი მიხეილს პომპეზური ინაუგურაციები უყვარდა, ამ პომპეზურობაზე პედალირებით, მეოცნებე ხელისუფლება ცდილობდა, მიხეილის უყაირათობაზე, საბიუჯეტო სახსრების ფლანგვაზე გაეკეთებინა აქცენტი, ეს პედალირება იქნებ წარმატებულიც ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება – 2004 წელს მიხეილის პომპეზური ინაუგურაცია თვით ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა და ბიუჯეტიდან არც არაფერი დახარჯულა. ანუ რა გამოდის? მიხეილი ბიუჯეტის კი არა, ივანიშვილის ფულს არ უჭერდა ყაირათს.

დასასრული მე-4 გვერდზე



მდუმარე აქცია რუსთაველზე ინაუგურაციის პარალელურად

17 ნოემბერს, 12 საათზე, გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის პარალელურად, რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ტაძრის მიმდებარედ არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელთან, არასამთავრობო ორგანიზაცია „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის“ მდუმარე აქცია მიმდინარეობდა. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები და მოქალაქეები ხუდონჰესისა და სხვა დიდი კაშხლების მშენებლობის, ასევე საყდრისის უძველესი ოქროს საბადოს განადგურების გეგმების წინააღმდეგ სიმბოლურ, მდუმარე აქციას მართავდნენ. როგორც აქციის ორგანიზატორი ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, ამ აქციით, ისინი ხელისუფლებას შეახსენებენ წინასაარჩევნო დაპირებებს და იმას, რომ „ქართული ოცნება“ სვანეთის მოსახლეობას ხუდონჰესის კახალის მშენებლობის შეჩერებას დაჰპირდა.

„ვერსიანიუსი“

ირინე იმერლიშვილს კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე გიორგი კახიანი ჩაანაცვლებს

როგორც „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, წესებისა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი გიორგი კახიანს შესთავაზეს. თავად კახიანმა თანაგუნდელებს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა. **„ქალბატონი ირინა ჩვენი გუნდის ღირსეული წევრია. იგი პარლამენტში საკმაოდ წარმატებული იყო და შევეცდები, ასევე ღირსეულად გავაგრძელო ეს საქმიანობა“,** — განაცხადა კახიანმა.

ირინე იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზეა წარდგენილი. იგი ამ პოსტს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ დაიკავებს. უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანის, გიგა ბოკერიას განცხადება გადადგომის შესახებ პრეზიდენტმა საკაშვილმა უკვე დააკმაყოფილა.

„პირველი“

ლიბერთი ბანკისა და Smartex ჯგუფის ორგანიზებით Startup Weekend თბილისი გაიხსნა

Startup Weekend - მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ღონისძიებაა, რომელზეც IT დეველოპერები, დიზაინერები, პროდუქტმენეჯერები და დამწყები ენთუზიასტები წარმოადგენენ საკუთარ ბიზნესიდეებს, ქმნიან გუნდს, იღებენ რჩევებს გამოცდილი მენეჯერებისგან და ეძლევათ შანსი, საკუთარი ბიზნესი დაიწყონ.

გლობალური პროექტის ფარგლებში 4300-მდე ახალი ბიზნესი უკვე დაარსდა; ჩატარდა 400-ზე მეტი ღონისძიება, რომლებზე დამსწრეთა რაოდენობამაც 40 000-ს გადააჭარბა. Startup Weekend უკვე 200-ზე მეტ ქალაქში გაიმართა მთელ მსოფლიოში. დღეიდან აღნიშნული ქალაქების რიგს თბილისი პირველად შეუერთდა.

სამდღიანი ღონისძიების ფარგლებში მონაწილე გუნდების იდეების წარდგენა და თავისუფალ უნივერსიტეტში პროექტებზე მუშაობაა დაგეგმილი. ფინალურ ეტაპზე გასული 9 გუნდი ჟიურის წევრებს ბიზნესპროექტებს წარუდგენს.

პროექტის მსვლელობისას გამოვლინდება ერთი გამარჯვებული გუნდი, რომლის თითოეული წევრიც სოლიდურ საჩუქარს მიიღებს. აგრეთვე, გაიმართება ონლაინკონკურსიც, რომლის შედეგადაც მაყურებელთა სიმპათია გამოვლინდება.

„ლიბერთი ბანკი და Smartex ჯგუფი აქტიურად უჭერენ მხარს ახალგაზრდა, ნიჭიერ ადამიანებს საკუთარი ბიზნესიდეების განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის საერთაშორისო ფორმატი არ გულისხმობს საუკეთესო პროექტებში აუცილებელ ინვესტირებას, Smartex-ის ინიციატივით, ღონისძიების ფარგლებში სავარაუდოდ, საუკეთესო Startup იდეების დაფინანსება მოხდება“, — აცხადებენ ლიბერთი ბანკში.

Startup Weekend თბილისი უზრუნველყოფს ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებას IT სფეროში არსებული იდეებისა და პროექტების შესახებ, ეს კი მთელ რეგიონს IT Startup ეკოსისტემისა და ელექტრონული კომერციის ჩამოყალიბებასა და მის სწრაფ განვითარებაში დაეხმარება.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში Smartex საქართველოში ე.წ. Crowdfunding-ის ექსპერიმენტს პირველად ახორციელებს. Startup Weekend-ის ნებისმიერ სტუმარს შესაძლებლობა ექნება, თავად გახდეს ინვესტორი.

ინაუგურაცია გაუქმებულ სასაფლაოზე

მე-3 გვერდიდან

2004-ში, პარლამენტის შენობის წინ ომახიანად რომ გამოაცხადეს „მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი“ – ამ „აღმატებულებამ“ ყველას მოსჭრა ყური – როგორც შემდეგ გაირკვა, თავად მის აღმატებულებასაც – სააკაშვილსაც. როგორც მაშინ კულუარული წყაროები იტყობინებოდნენ, ამ „აღმატებულების“ გამო შენიშვნებიც კი მიიღო ინაუგურაციის რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა.

სააკაშვილი დიდ ინაუგურაციებს აწყობდა – მასშტაბურს, ორნაწილიანს – 2004 წელს გელათში, დავითის საფლავზე დადო ფიცი, 2008 წელს ინაუგურაციის ცერემონიალი ბაგრატის ტაძარში გაგრძელდა. ისე, ეს წესი მას არ შემოუტანია – შევარდნაძე სვეტიცხოველში მართავდა ინაუგურაციას. ანუ, ორნაწილიანი ინაუგურაცია ტრადიციად იყო დამკვიდრებული. რა იყო ეს? ისევ და, ისევ ქართული ტრადიცია, რომ ყველაფერი ორი გვაქვს – ახალი წლის არ იყოს? ასეა ქორწინების დროსაც – ხელისმოწერა ცალკეა, ჯვრისწერა — ცალკე. ინაუგურაციამაც ეს წესი მოიცვა – ხელისმოწერას პარლამენტში ფიცის დადება ჩაენაცვლა, ჯვრისწერას – ტაძარში კურთხევა.

გიორგი მაისურაძე წერს: „მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია, თავის მხრივ, გაგრძელება იყო ედუარდ შევარდნაძის მიერ პოლიტიკურ რეპრეზენტაციაში დანერგილი რესაკრალიზაციისა (შევარდნაძის ინაუგურაცია სვეტიცხოვლის ტაძარში 1995 წ.), რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს ფასადისმიღმა ისტორიული და რელიგიური ლეგიტიმაციის შემოტანას გულისხმობს“. მართლაც და, რა სურდათ ან შევარდნაძეს, ან მიხეილს, რომ ჩვენს წარმოდგენაში იმ მეფეთა ადგილი დაემკვიდრებინათ, რომელნიც სვეტიცხოველსა თუ გელათში იკურთხებოდნენ? ამ ლოგიკას თუ მივყვებით, გიორგი მარგველაშვილს სიურპრიზიც ხომ არ მოუწყვეს ბაგრატიონებმა – როდესაც სულ რამდენიმე დღით ადრე, უფლისწული მონათლეს სვეტიცხოველში? უფლისწულის ნათლობა, როგორც ჟესტი, მინიშნებაა იმაზედ, რომ მეფეთა ადგილს მეფე დაიკავებს და არა რომელიმე პრეზიდენტი?

და კიდევ, ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა ინაუგურაციის პარლამენტის წინ ჩატარებაზე. არადა, ეს ადგილი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მნიშვნელოვან ეპიზოდებს უკავშირდებოდა. ამ დეტალს ყოველთვის საგანგებოდ ექცეოდა კიდეც ყურადღება საინაუგურაციო სიტყვაში. შევარდნაძე ამ ადგილს ახსენებდა როგორც ადგილს, სადაც დაიღვარა ქართველ მამულიშვილთა უმანკო სისხლი 9 აპრილს, სადაც მოხდა ქართული ენის დაცვა, დამოუკიდებლობის გამოცხადება. სააკაშვილი კი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ამ ადგილას განისვენებდნენ თბილისის მისადგომებთან გმირულად დაღუპული იუნკერები.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ეპოქა დამთავრდა. როგორც ახალი პრეზიდენტი დაგვპირდა – კოჰაბიტაციის ხანა დასრულდება. კოჰაბიტაციის დასრულებას გილოცავთ, ლიხს იქით და ლიხს აქეთ, ძველი პარლამენტის ეზოს „ზაბორსიქით“ მოხვედრილებო და „ზაბორსაქეთ“ დარჩენილებო!

ისე, კოჰაბიტაციის დასრულების რა მოგახსენოთ – ვგონებ, არც დაწყებულა, მაგრამ გადაბრალების ხანა ნამდვილად დასრულდება. ახალი ხელისუფლება ვეღარ გვეტყვის, რომ საოცნებო ქვეყნის შენებაში ხელს ქვეყნის პირველი პირი უშლის. იმედია, ქვეყანასაც ვიწრო წრეში არ ააშენებენ!

შალვა ნათელაშვილმა რუსთაველზე საპროტესტო აქცია გამართა

პრეზიდენტის ინაუგურაციის პარალელურად, რუსთაველის გამზირზე ორი აქცია მიმდინარეობდა — საქართველოს ლეიბორისტული შრომის პარტიის წევრები შალვა ნათელაშვილის ლიდერობით, 11 საათზე, რუსთაველის ძეგლთან შეიკრიბნენ და იმ ხალხს, ვინც 27 ოქტომბრის შედგებით, თავს მოტყუებულად გრძნობს, აქციაზე მისვლისკენ მოუწოდეს ყველას **„ვინც თავს შეურაცხყოფილად და მოტყუებულად გრძნობს, რათა შინაურსაც და გარეულსაც ვაჩვენოთ, როგორი პასუხის გაცემა შეგვიძლია, ყველა მოძალადისა და მატყუარასთვის“.** ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს, სამწუხაროდ, სოლიდარობა არც ერთი პარტიის ლიდერმა არ გამოუცხადა და რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ, შალვა ნათელაშვილი, როგორც ყოველთვის, მარტო აღმოჩნდა.

„დღეს დაგვეკისრა ისტორიული მისია. აქ ვინც ვართ, ვიცავთ ერის ღირსებას ძალადობისგან, სიცრუისგან. დღეს ორი მთავარი ღონისძიება ტარდება კავკასიაში — ერთი არის ცრუ პრეზიდენტის ინაუგურაცია და მეორე ვართ ჩვენ, აქ შეკრებილი მამულიშვილები. ივანიშვილმა და სააკაშვილმა შვეს კოჰაბიტირებული პროდუქტი ხელის ბიჭის სახით, რომელიც ფიცს სდებს და ჰგონია, რომ საქართველოს პრეზიდენტია. ერთი მე ვარ იაპონიის პრეზიდენტი და მეორე ეგ არის საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს. ის არ აურჩევიათ. მარგველაშვილი არის ცრუ და არ ვცნობთ მას პრეზიდენტად!“ — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

აქცია ინაუგურაციის დასრულებისთანავე მშვიდობიანად დაიშალა.

„ვერსიანიუსი“

რუსუდან შელია
557-100-768

კონსტანტინე გამსახურდია: „ზვიად გამსახურდიას ოჯახის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება სრულიად გაუგებარია!“

აქტიური პოლიტიკიდან 2011 წლის ივლისში წავიდა, როცა საპარლამენტო პარტია „თავისუფლების“ თავმჯდომარის პოსტი დატოვა და ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირსა და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა. ამ ფაქტმა საზოგადოების ნაწილი ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებაზე აალაპარაკა, ისიც ითქვა საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვანო მერაბიშვილთან მეგობრობდა და მისგან ფულს უხვადაც იღებდაო. კონსტანტინე გამსახურდია „ვერსიასთან“ ორწლიან დუმილს არღვევს, მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს პასუხობს და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც აფასებს.

— პოლიტიკიდან ისე წახვედით, თქვენი მისამართით დაგროვილი კითხვებისთვის პასუხი დღემდე არ გაგიცია. ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებულ ფსევდოოპოზიციონერს გიწოდებდნენ და ვანო მერაბიშვილთან მეგობრობაში გდებდნენ ბრალს.

— ვანო მერაბიშვილი ჩემი მეგობარი კი არა, მტერი იყო. პირადად მე და პარტია „თავისუფლებას“ უშიშროებამ პირდაპირი ბრძოლა გამოგვიცხადა. მუდმივი წნეხის პირობებში ვმუშაობდი, რადგან, განსაკუთრებით ადეიშვილი და მისი გუნდი, გააფთრებული მებრძოდა. მძევლად აყავდათ ოჯახის წევრები და ჩემთან დაახლოებული ადამიანები... ოდესმე ამ ყველაფერს დეტალებში აღვწერ, თუმცა ჯერ ამის დრო არ დამდგარა.

— ზეწოლის ფაქტებს აქამდე რატომ არ ახმაურებდით ან ნაციონალურ მოძრაობასთან მსგავსი დაპირისპირების პირობებში, ოპოზიციიდან სახელმწიფო სისტემის ნაწილი რატომ გახდით, როცა ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირსა და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში ელჩად დაინიშნეთ?

— ეს არ ნიშნავს, რომ დაწყებული ბრძოლა შევწყვიტე. ჩემს იდეებსა და შეხედულებებზე უარი არასოდეს მითქვამს. უბრალოდ, მაშინ ტაქტიკა შევცვალე და კონფრონტაციიდან სხვა ტიპის მოქმედებებზე გადავედი. ვერავინ მეტყვის, რომ ოდესმე ოპოზიციურ შეხედულებებზე უარი ვთქვი და მაშინდელ სახელისუფლო წრეში ჩავეწერე. პირიქით, მიუხედავად ელჩად წარდგენისა, ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის ოპოზიციონერად განმიხილავდა. თანაც მიხეილ სააკაშვილს მთელ საქართველოდ არასოდეს აღვიქვამდი, მე ყოველთვის საზოგადოებას ვემსახურებოდი.

— თუმცა თავად საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებისგან პრივილეგირებულ ოპოზიციონერად აღგიქვამდათ. ითქვა, რომ პრეზიდენტის ფონდიდან სოლიდურ თანხას იღებდით, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემსწავლელი კომისიის შექმნა კი მხოლოდ იმ მიზეზით გადაწყდა, რომ პარლამენტში დეპუტატის მანდატით შესულიყავით.

— ჩემს ქვეყანას კარგად ვიცნობ, ამიტომ ვიცი, რომ საქართველოში უამრავი უტიფარი ადამიანი ცხოვრობს. ბევრია მზად, ქვა უსამართლოდ გესროლოს. ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებას 2004 წლიდან მაბრალებდნენ, როცა ჩემს ქვეყანაში ჩამოსვლა და აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა გადავწყვიტე. მახსოვს, ამბობდნენ, თითქოს ზურაბ ჟვანიამ ჩამომიყვანა, არადა, ამ ადამიანთან შეხება არასოდეს მქონია. პრივილეგიებზე საუბარიც სრული ბოდვაა და ამ თემებზე საუბარს გლდანის ნაგავსაყრელის შეფასება მირჩევნია. ვინც მსგავს ინფორმაციებს ავრცელებს, დამამტკიცებელი საბუთიც უნდა დადოს.

— დღეს თუ ხედავთ თქვენს ადგილს აქტიურ პოლიტიკაში, ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილს ჩარგალში შეხვდით.

— ჩარგალში ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი იყო, შესაბამისად, ჩვენს შორის პოლიტიკური მოლაპარაკებებიც არ შემდგარა. უბრალოდ, ერთად დავესწარით კულტურულ ღონისძიებას, რასაც შემდეგ ნადიმიც მოჰყვა. ახლა არც სახელმწიფო და არც კერძო სამსახურში არ ვარ, ჩვეულებრივი ინტელექტუალის ცხოვრებით ვცხოვრობ. თუმცა მახსოვს, 2011 წელს პარლამენტში ერთმა პოლიტიკოსმა იხუმრა — როგორც ყოფილი ექიმები და „კაგებეშნიკები“, ისე ყოფილი პოლიტიკოსები არ არსებობენო... ვნახოთ, აქტიურ პოლიტიკაში ჩემი ჩართვა ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. მათ შორის, ზვიად გამსახურდიასა და მის ოჯახთან ხელისუფლების დამოკიდებულებაზე.

— ხელისუფლებისგან თქვენი ოჯახის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვას რა ფორმით ითხოვთ?

— მოთხოვნაზე კი არა, ადეკვატურ აღქმაზე ვსაუბრობ. ამ მხრივ ხელისუფლების დამოკიდებულება სრულიად გაუგებარია და არ ვიცი, რამდენად ადეკვატურად აღიქვამს უახლოეს ისტორიას კოალიცია. როცა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემსწავლელმა დროებითმა კომისიამ მუშაობა დაასრულა, 365-გვერდიანი დოკუმენტი პროკურატურას გადავუგზავნეთ. მაშინ უამრავი არგუმენტი დავასახელეთ, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს თავი არ მოუკლავს, ეს იყო მკვლელობა. სამწუხაროდ, დღესაც პროკურატურისგან ვერ ვხედავთ ნიშანწყალს, ეს დოკუმენტი ჯეროვნად შეისწავლონ და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ.

— ახალი ხელისუფლების პირობებში, პროკურატურას გამოძიების მოთხოვნით მიმართეთ?

— რა თქმა უნდა, ამ განცხადებით პროკურატურას უამრავმა ადამიანმა მიმართა. გასაგებია, რომ ადეიშვილ-ზოდელავას პროკურატურის ინტერესებში საქმის გამოძიება არ შედიოდა, თუმცა სწორედ იმას ვამბობ, რომ კოალიციის ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაც არ ჩანს. თანაც მიმაჩნია, რომ 1990, 1991 და 1992 წლების რეცეფცია აუცილებელია.

— თუმცა კოალიციის ინიციატივით, 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოცხადდა, „ქართულ ოცნებაში“ ზვიად ძიძიგური და ეროვნული მოძრაობის სხვა მონაწილეები ერთიანდებიან...

— მას შემდეგ, რაც ზვიად ძიძიგური კოალიციის წევრი გახდა, მისგან არასოდეს მომისმენია ეროვნული ხელისუფლების დაცვა ან ზვიად გამსახურდიას შესახებ განცხადება. იმას არ ვამბობ, რომ მუდმივად ამ თემებზე საუბარი აუცილებელია, თუმცა მიმაჩნია, რომ გარკვეული პოზიცია უნდა ჩანდეს და პრემიერისგან მისი გარემოცვის მოსაზრებებს არ უნდა ვისმენდეთ. მისასალმებელია, რომ 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოცხადებაზე საუბარი დაიწყო. ამას ხელისუფლების მიღწევად ჩავთვლი, რადგან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გადატრიალებამ ჭრილობები დღემდე დაგვიტოვა და მას მოშუშება სჭირდება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ნაციონალური მოძრაობაც მოიკოჭლებდა, სააკაშვილს 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას, 26 მაისს კი მერაბ კოსტავას სახელი ვერ წამოვაცდენინეთ, თუმცა როგორც კი რიგით მეექვსე საპრეზიდენტო არჩევნები მოახლოვდა, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. ბუნებრივია, ეს მისი მხრიდან გადადგმული დადებითი ნაბიჯია, მაგრამ, შესაძლოა, გათვლა ამომრჩევლის მოზიდვაზე გააკეთა.

— პრემიერმა საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენჯერმე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტები მათ შორის, ზვიად გამსახურდიაც და აღნიშნა: „საქართველოს ყველა პრეზიდენტი ერთმანეთზე უარესი იყო. ერთი მმართველობის დროს ქვეყანაში სამოქალაქო ომი იყო, მეორე რევოლუციის შედეგად შეცვალეს, მესამე კი ამ ორზე უარესია“.

— მიმაჩნია, რომ ეს მისი პირადი აზრი არ არის, უბრალოდ, ბიძინა ივანიშვილი მასთან შეყუჟული სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილე ვაიმოღვაწეების ლუღლუღს იმეორებს. არ დავწვრილმანდები და მათ ვინაობას არ დავასახელებ, თუმცა ყველამ კარგად იცის, ეს ადამიანები 22 წელია ლუღლუღებენ. ადამიანებს ეშლებათ, როცა განსხვავებულ ეპოქებს ერთმანეთთან ადარებენ. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ქარიზმატული ლიდერი სჭირდებოდა, ამიტომაც გვყავდა ორი ეროვნული ლიდერი და საქართველოს სამი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის შედარება გაუმართლებლად მიმაჩნია. მათ განსხვავებული მიზნები და ამოცანები ამოძრავებდათ.

— მალე ორი, ერთმანეთთან პოლიტიკურად დაპირისპირებული ძალა ლიდერის გარეშე დარჩება — მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს ტოვებს, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის. პროცესების რა სცენარით განვითარებას ელოდებით?

— დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება ქარიზმატულ ლიდერს აღარ საჭიროებს. გიორგი მარგველაშვილი განსხვავებული პოლიტიკური სისტემის პრეზიდენტია. მისი გამარჯვების წინაპირობა კი კოალიცია და 2012 წლის არჩევნებამდე ხელისუფლებაში მყოფი ძალები გახდნენ, რომლებიც დღეს ოპოზიციაში გადასულან. ნაციონალური მოძრაობის ლოკომოტივი რეალურად მიხეილ სააკაშვილი იყო, მისი ჩახსნის შემდეგ კი პარტიაში სააკაშვილის ჩამნაცვლებელი პოლიტიკური სახე ვერ მოიძებნა. ზოგადად, ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაცია რთულია, თუმცა პარტიის რეიტინგზე ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები დადებითად აისახება. კერძოდ, კოალიციის მიერ რუსეთის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ნაციონალებმა კარგად გამოიყენეს. არა მგონია, ხელისუფლების შეცდომები მხოლოდ კოჰაბიტაციის ბრალი იყოს. საგანგაშო ტენდენციაა ეკონომიკაში და, ზოგადად, ბიზნესთან მიმართებაში. თუ ასე გაგრძელდა, მოქალაქეები საქართველოს მასობრივად დატოვებენ და კოალიცია რთულ ვითარებაში აღმოჩნდება.

— და ეს კიდევ ერთი შანსი იქნება ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის დასაბრუნებლად?

— ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნებას მოახერხებს მხოლოდ მაშინ, თუ კოალიცია მარტივ მამრავლებად დაიშლება ან „ქართული ოცნება“ დაიშლება ისე, რომ მას ანალოგიურად ორგანიზებული და მრავალი ბერკეტის მქონე ძალა ვერ ჩაანაცვლებს. არა მგონია, კოალიციის დაშლა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლამ გამოიწვიოს — ძალაუფლების ბერკეტებს ხელიდან ასე მარტივად არავინ გაუშვებს და ერთმანეთთან ხელჩასაჭიდს მოძებნიან.

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა მინისტრმა შსს-ს თანამშრომლებს საცხოვრებელი ბინები გადასცა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროს 10 თანამშრომელს და სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული თანამშრომლის ოჯახს საცხოვრებელი ბინები გადასცა. მინისტრმა ასევე დააჯილდოვა 477 თანამშრომელი: შსს-ს სტრუქტურაში 20 და მეტი წლის ნამსახურეობის მქონე თანამშრომლებიდან 171 უმწიკვლო სამსახურისთვის სამკერდე ნიშნით, 306-ს კი მადლობის სიგელი გადაეცა.

მინისტრის ინიციატივით, ახალი ბინები მიიღეს შსს-ს იმ თანამშრომლებმა, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას წარჩინებით ასრულებდნენ და სოციალური მდგომარეობის გამო საკუთარი საცხოვრებელი არ ჰქონდათ. ბინები ასევე გადაეცათ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულების პირობებით სამინისტროში მუშაობის 5-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ბინის მიღება ჰქონდათ გათვალისწინებული. საცხოვრებელი ბინები თბილისსა და გორში სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის შვიდ თანამშრომელს გადაეცათ: შმაგი ედიშერაშვილს, იური ვასილიევს, იური აბაშიძეს, ჯონი ადუაშვილს, კახა ხარაზიშვილს, როინ ჯაყელს და ანზორ ბეკურაშვილს, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელ ნუგზარ ბუსკაძეს და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომელ ზვიად კაპანაძეს. ახალი ბინა გადაეცა აჭარის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელ მამუკა კომახიძეს, რომელსაც 21 სექტემბერს ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლი დაეწვა. პოლიციელმა ცეცხლმოკიდებული სახლიდან მხოლოდ ტაბელური იარაღისა და შსს-ს თანამშრომლის მოწმობის გამოტანა შეძლო. პოლიციის თანამშრომელმა ბინა ბათუმში სიმბოლურ ფასად 1 ლარად მიიღო.

მინისტრმა საცხოვრებელი ბინა ასევე 12 ოქტომბერს სამეგრელოში, სოფელ ხორგაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლის დავით დემურიას ოჯახს — მეუღლეს ირმა ჯაიანს და შვილს — ნიკოლოზ დემურიას გადასცა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა

2013 წლის 14 ნოემბერს სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, საქართველოს მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას ვისბადენის ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული ფაჰატტინ ეფე (აჰატტინ ფე) დააკავეს, რომელიც დაპატიმრებისა და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, გერმანიის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის არხებით საერთაშორისო ძებნაში 2012 წლის 16 მაისიდან იმყოფებოდა. ფაჰატტინ ეფეს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე და საგადასახადო კოდექსის 370-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა ედება ბრალად, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებას გულისხმობს და თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით ემუქრება.

2010 წლის 27 სექტემბრიდან ფაჰატტინ ეფე კომპანია EFE AUTOMOBILE-ს ფლობდა. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მან შესაბამის საგადასახადო უწყებას წინასწარ მიაწოდა ბრუნვის გადასახადის დეკლარაცია და განმარტა, რომ იგი უფლებამოსილი იყო, მიეღო შემომავალი გადასახადი და აღნიშნულის დასადასტურებლად MAN TRUCK & BUS DEUTSCHLAND GMBH-ის სხვადასხვა ფილიალების მიერ სავარაუდოდ გაცემული ფიქტიური ანგარიშფაქტურები და COMMERZBANK AG-ის მიერ გაცემული დეპოზიტის ფიქტიური ქვითრები წარმოადგინა. ეფემ უკანონოდ სულ მიიღო 322 810 ევრო.

„ვერსიანიუსი“

სამხედრო ვეტერანს საცხოვრებელი ბინა ორჯერ ნასამართლევმა, უშიშროების ყოფილმა ვიცე-პოლკოვნიკმა წაართვა?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ბატონო არჩილ, რეაგირებისთვის გეგზავნებათ მოქალაქე გურამ სოფრომაძის 2013 წლის 18 სექტემბრის №01/114312 განცხადება, რომელშიც მის მიმართ ჩადენილი თაღლითობის ფაქტების ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას ითხოვს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინა თაღლითური გზით მიისაკუთრეს კონკრეტულმა პირებმა. ამასთან, განცხადებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა განმცხადებლის მტკიცებით, გამოძიების პროცესი გაუგებარი მიზეზების გამო ჭიანურდება. როგორც თქვენთვის ცნობილია, თაღლითობის დანაშაულმა მნიშვნელოვნად დააზარალა ჩვენი საზოგადოება და მასთან ბრძოლა ჩვენთვის სისხლის სამართლის პოლიტიკისა და დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. შესაბამისად, აუცილებელია, დროულად შეფასდეს, რასთან გვაქვს საქმე და მოხდეს განცხადებაზე შესაბამისი რეაგირება“, — ესაა ამონარიდი იუსტიციის ახლა უკვე ყოფილი მინისტრის, თეა წულუკიანის წერილიდან, რომელიც 2013 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს გაუგზავნა.







დაზარალებულ გურამ სოფრომაძეს სამართლიანი სასამართლოს იმედი აქვს

„ვერსიას“ დაზარალებული სამხედრო ვეტერანი **გურამ სოფრომაძე** დაუკავშირდა. მისი თქმით, 10 წლის წინ, უშიშროების ყოფილმა ვიცე-პოლკოვნიკმა გურამ გოგილაშვილმა და დავით ჭანიშვილმა ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი მოისყიდეს, რათა გურამ სოფრომაძისთვის საცხოვრებელი ბინა წაერთმიათ:

„იუსტიციის გენერალური ინსპექციის თანამშრომლის, ზურაბ ბუავას დაინტერესებითა და ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაცვის უფროსის ძმის, გოჩა ჯანაშიას მონაწილეობით, ჩემი მეუღლე ცირა სოფრომაძე, რომელიც ქმედუუნარო იყო, მოატყუეს. ბინის გაყიდვის შესახებ ყალბი ხელშეკრულება გააფორმეს და ჩემი ერთადერთი, 4-ოთახიანი საცხოვრებელი ბინა მიიტაცეს. უკვე ექვსი წელია, რაც სამხედრო ვეტერანი, მეორე ჯგუფის ინვალიდი, სოციალურად და სამართლებრივად დაუცველად, მეტიც, ლტოლვილად მაქციეს. ძველი თბილისის პოლიციაში პროკურორებმა — ბადრიაშვილმა და გოდერძიშვილმა არაადეკვატური ზედამხედველობით ჩაატარეს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით. შედეგად, დანაშაულის აღიარებითა და სამართლებრივად არასრულყოფილი საპროცესო გარიგების გაფორმებით, მსუბუქი სასჯელი მხოლოდ გილიგაშვილს დააკისრეს“, — გვიამბობს გურამ სოფრომაძე.

მისი თქმით, განაჩენში დაფიქსირდა, რომ თაღლითური გზით ჩამორთმეული ბინა გილიგაშვილმა ფიქტიურად გადააფორმა დიდი ხნის მეგობრის, ჭანიშვილის სახელზე, რათა უკანონოდ მიტაცებული ბინა არ ჩამორთმეოდა. გურამ სოფრომაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ჭანიშვილს გავლენიანი ლობისტები ჰყავდა წინა ხელისუფლებაში და მათი საშუალებით, 2008 წელს, ვეტერანი საკუთარი ბინიდან გამოასახლა:

„ჭანიშვილმა ბინიდან გასახლება არ მაკმარა და 38 000 ლარის გადახდაც დამაკისრა, რადგან ადრე ამ ბინაში ვცხოვრობდი. ჩემს მეუღლესთან ბინის გაყიდვის შესახებ ფიქტიური ხელშეკრულება 2003 წელს გაფორმდა, მაგრამ საქმეში დევს სამხარაულის ბიუროს ფსიქოექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც ჩემი მეუღლის ქმედუუნარობა მტკიცდება. იმ პერიოდში თვითონაც ავად ვიყავი და მოსკოვში ვმკურნალობდი, ამიტომაც შეძლეს ამ თაღლითებმა ჩემი ავადმყოფი მეუღლის მოტყუება... როგორც გითხარით, ბინიდან 2008 წელს გამომასახლეს და იმის გამო, რომ 2003-დან 2008 წლამდე, თითქოს „უკანონოდ“ ვცხოვრობდი საკუთარ სახლში, ქირის სახით, 38 000 ლარის გადახდაც დამაკისრეს. მეტიც, ამ თაღლითებმა პენსიაც კი გამინახევრეს“.

გურამ სოფრომაძე გვიამბობს, რომ მოსამართლეები — დავით ღიბრაძე, ქეთევან დუგლაძე, პაატა ქათამაძე, ნატა ნაზღაიძე, ვანო წიკლაური და თეიმურაზ თოდრია სამხარაულის ბიუროს ფსიქოექსპერტიზის დასკვნასა და სისხლის სამართლის განაჩენს არ დაელოდნენ. სოფრომაძის თქმით, ამ მოსამართლეებმა არ გაიზიარეს მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის ლოგიკური გადაწყვეტილება, რომლითაც ყალბი სანოტარო ხელშეკრულებები ბათილად სცნეს. სამაგიეროდ, აღნიშნულმა მოსამართლეებმა მიკერძოებით გაიზიარეს მსჯავრდებულ ხარებავას 2 000-ლარიანი კერძო ექსპერტიზის დასკვნა, თაღლითი გოგილაშვილი და ჭანიშვილი კეთილსინდისიერებად აღიარეს, გურამ სოფრომაძეს კი საცხოვრებელი ბინა ჩამოართვეს:

„5 წლის განმავლობაში, ისანი-სამგორის პოლიციაში, პროკურორების — ნათია მოგელაძის, რომელიც მოგვიანებით, აუდიტის სახელმწიფო სამსახურში გადაიყვანეს, კონდახაშვილის, ლაცუზბაიას, გაგნიძისა და ამირანაშვილის ზედამხედველობით, სისხლის სამართლის საქმე ჭიანურდებოდა. მტკიცებულების სიმრავლის ფონზე, ისინი მაინც საქმის სისუსტეს იმიზეზებდნენ. სამწუხაროდ, ამ პროკურორებს არავითარი ქმედითი საგამოძიებო ღონისძიებები არ ჩაუტარებიათ, მათ მიერ განხორციელებულ ტექნიკურ ღონისძიებებში კი იკვეთება, რომ ამ თაღლითებს გავლენიანი ძმები ჯანაშიები იცავდნენ. წინა ხელისუფლების სამართალდამცავთა ყველა სფერო იცავდა კრიმინალთა უფლებებს, ჩემთვის, დაზარალებულისთვის, ყოველმხრივ განადგურებულისთვის კი ვერავინ მოიცალა. სიმართლის აღდგენის იმედით, თაღლითების, მათი ხელშემწყობებისა და 10 წლის განმავლობაში, 5 ტომისგან შემდგარ საქმეში აღნიშნული უსამართლო მოსამართლეების, ასევე პროკურორების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ვითხოვ“.

დაზარალებული სამხედრო ვეტერანი მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. გურამ სოფრომაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ პირველად წარმოებულ საქმეში, ავსტრიაში მცხოვრებ შვილთან ერთად, სასამართლომ დაზარალებულად სცნო. ის ახლა მისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის დაბრუნებას ან მატერიალური და მორალური ზიანის სანაცვლოდ, 180 000 აშშ დოლარის გადახდას ითხოვს. წლების განმავლობაში, გურამ სოფრომაძემ არაერთხელ მიმართა წინა ხელისუფლებას, მათ შორის, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ძმებ კუბლაშვილებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ პასუხად ყველგან დუმილს, უყურადღებობასა და უსამართლობას იღებდა:

„უნდა გავაცნობიეროთ, რომ წინა მთავრობის მიერ გაშვებული კადრების დაბრუნებითა და იუსტიციის სამსახურების ახალი, გამოუცდელი კადრებით შევსებით ქვეყანაში სამართლებრივ კულტურას ვერ დავამკვიდრებთ. ყოფილი მოსამართლე და პროკურორი ადვოკატი ვერ უნდა გახდეს, რადგან თავიანთ კოლეგებთან საქმეს მიკერძოებით „აწყობენ“, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სახის დაინტერესებაზე, ნაცნობ-მეგობრობასა და ბიძაშვილ-მამიდაშვილობაზე. არ მესმის, რისთვის არსებობს ძმები კუბლაშვილების უცვლელი იუსტიციის საბჭო, თავისი მაღალხელფასიანი კადრებით? ამ იუსტიციის საბჭოში მპასუხობენ, რომ საქმე განიხილეს, მაგრამ შედეგს არ მატყობინებენ. არადა, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა — წიკლაურმა და ნაზღაიძემ, ამავე სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, ახლა უკვე ძვირადღირებული ადვოკატის, ციცინო დევრისაშვილის გავლენით, მიკერძოებით უარყვეს სამხარაულის ორი ფსიქოდასკვნა ჩემი მეუღლის ქმედუუნარობის შესახებ. სწორედ ციცინო დევრისაშვილი იყო გოგილაშვილისა და ჭანიშვილის ადვოკატი. თავდაპირველად, ეს საქმე სამოქალაქო სასამართლოში მოვიგე, მაგრამ ამის შემდეგ, როდესაც თაღლითებმა პირველადი გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, სასამართლომ ისინი გაამართლა, მე კი ბინა დამაკარგვინეს. ოთხი ახალი გარემოებით, ეს საქმე ისევ მოსამართლეებს — წიკლაურსა და ნაზღაიძეს დააწერეს, მაგრამ მამტკიცებელი ინფორმაციის წარდგენის მიუხედავად, მათ აცილებაზე მაინც უარი მითხრეს“.

გურამ სოფრომაძე გვიამბობს, რომ სანოტარო კანონმდებლობაც მოსაგვარებელია. მისი თქმით, ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ისე, რომ ნოტარიუსმა 100 000 ლარად ღირებული უძრავი ქონება 10 000 ლარად გადასცეს ვინმეს:

„მას შემდეგ, რაც ჩემს მეუღლესა და თაღლით გოგილაშვილს შორის ბინის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი მოისყიდეს და ჩემი ბინა, რომლის რეალური ღირებულება 100 000 ლარი იყო,

10 000 ლარად შეაფასეს. არც ერთი ქვეყნის ნოტარიუსი არ იკადრებდა, ანგარების მიზნით დახმარებოდა თაღლითებს, მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველის ქმედუუნარობის შესახებ ინფორმაციას ფლობდა. სხვათა შორის, საპასპორტო და იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებული საკითხებიც მოსაგვარებელია, რადგან არ შეიძლება, ოთხწევრიან ოჯახში, მხოლოდ ერთს შეეძლოს ბინის გასხვისება ან იპოთეკით დატვირთვა“.

მას შემდეგ, რაც თეა წულუკიანმა არჩილ კბილაშვილს წერილობით მიმართა, სულ რაღაც 13 დღე გავიდა. ამასობაში, კბილაშვილმა თანამდებობა დატოვა და მის ნაცვლად მთავარი პროკურორის პოსტი ოთარ ფარცხალაძემ გადაიბარა. შესაბამისად, უკვე ფარცხალაძეს მოუწევს ამ საქმეზე რეაგირება, გაჭიანურებული გამოძიების დაჩქარება და საქმეში აღნიშნული პროკურორებისა, თუ მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხის დასმა. გურამ სოფრომაძეს კი, რომელიც თავს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს აფარებს, სამართლიანი სასამართლოს იმედი აქვს.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

„დათრობის მერე, ქართველ კაცებში ძალუმად იღვიძებს გიორგი სააკაძე და „ჰაიტ ურჯულოებო“-ს ძახილით იწყება დებოში!“

რა პრობლემებზე საუბრობენ თურქული, არაბული და ირანული ბარების მფლობელები და დაცვის წევრები

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ე.წ. ვარდების მოედანზე, ღამის კლუბებთან გამართულ საპროტესტო აქციას გამოხმაურება მოჰყვა. მომიტინგეები აცხადებენ, რომ ქართველ მამაკაცებს თურქულ-არაბულ-ირანულ ბარებში ეთნიკური ნიშნით არ უშვებენ. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდების პროტესტი მცირე ინციდენტში გადაიზარდა. აღნიშნული ფაქტი დაფიქსირებულია და YOUTUBE-ზე დევს.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი „ეროვნული ფრონტი“ აცხადებს, რომ ბარებსა და კლუბებში ეთნიკური და გენდერული ნიშნით ქართველების დისკრიმინაცია ხდება. მათივე მტკიცებით, რეალურად, არასრულწლოვნების პროსტიტუციისა და ნარკოტიკების გავრცელების ბუდესთან გვაქვს საქმე. აქციის მონაწილენი მოითხოვენ, დადგეს იმ დაცვის სამსახურების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც მონაწილეობენ ქართველების დისკრიმინაციაში, გამკაცრდეს სავიზო და საიმიგრაციო რეჟიმი და დაიცვან ქართული ენის უფლებები სარეკლამო აბრებსა და ვიტრინებზე.

„ეროვნული ფრონტის“ წევრი ევგენი მიქელაძე აცხადებს, რომ **„ინციდენტის ირგვლივ გავრცელებული ხმები აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ჩვენს აქციას არავითარი კავშირი არ აქვს ე.წ. პროსტიტუციის საკითხთან. პირველ რიგში, ვაპროტესტებთ იმ სავიზო და საემიგრაციო რეჟიმს, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ ცხრა წლის განმავლობაში დაამკვიდრა. ქვეყანაში აზიისა და აფრიკის 80 ქვეყანასთან უვიზო რეჟიმია შემოღებული, რის შედეგადაც ყოველდღე შემოდიან ემიგრანტები და მკვიდრდებიან. ამ კლუბების წინააღმდეგ ჩატარებული აქცია სწორედ იმას ნიშნავს, რომ მათ საქართველოში უკვე დაიწყეს ეთნიკური ნიშნით საკუთარი კლუბების შექმნა, ეთნიკური და გენდერული ნიშნით ქართველების შევიწროება და დისკრიმინაცია. მათ ასევე დაიწყეს საქართველოს მოქალაქეებზე ცივი იარაღით გამოწევა. 26 ოქტომბერს ერთ-ერთმა აზიელმა მოქალაქემ ჩვენი ორგანიზაციის წევრი დაჭრა. საქმე დღემდე გამოუძიებელია, 1 ნოემბერს შევიტანეთ მთავარ პროკურატურაში განცხადება და არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. საქართველოში ნებისმიერი დაწესებულება, სადაც ქართველების ეთნიკური და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ხდება, უნდა დაიხუროს“.**

პროტესტის ერთ-ერთი მონაწილეა ეროვნული მოძრაობის უხუცესი ლიდერი ირაკლი წერეთელი, რომელიც აცხადებს, რომ თბილისში არის თურქული, არაბული, ირანული ბარები, სადაც ქართველ ქალებს „პროსტიტუტკებად“ უშვებენ და კაცებს ეუბნებიან, იმიტომ არ გიშვებთ, ქართველები ხართ: **„ეს არის დისკრიმინაცია და დაუშვებელია, შენივე ქვეყანაში ასე გექცეოდეს უცხოელი. გვინდა, პრობლემა კანონის ფარგლებში მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენივე წესებით ვიხელმძღვანელებთ. საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იყოს არც ერთი დაწესებულება, სადაც ქართველობის გამო მამაკაცს არ შეუშვებენ“.**

აქციის მონაწილეების მოთხოვნები ყველა მედიასაშუალებამ გააშუქა, თუმცა გაუგებარი დარჩა, რა ხდება რეალურად რისხვის ობიექტებში, ამიტომაც „ვარდების მოდენაზე“ შებინდებისას მივედი. ირგვლივ გახურებული სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ბარებისკენ ვერ ვაღწევ, ბრეზენტითაა შემოღობილი. „რადისონის“ მხრიდან, ნაწილობრივ დახურულ სივრცეში შევდივარ თუ არა, სიბინძურის სუნი მახრჩობს. ბარების ქვედა ტერიტორია, წლებია, ღია ცის ქვეშ ტუალეტადაა ქცეული. კლუბები ღამით იწყებენ მუშაობას. სართულზე ერთადერთი მამაკაცი მხვდება. ვინაობას ვეუბნები და ისიც ერთ-ერთი ბარის ქართველ დირექტორს მაცნობს. ჩემი რესპონდენტები ვინაობას არ მეუბნებიან, მაგრამ მპირდებიან, რომ „სიმართლეს გამოამზეურებენ“. გთავაზობთ მათ საუბარს, კომენტარის გარეშე, დასკვნები კი თავად გამოიტანეთ.

ერთ-ერთი ბარის დირექტორი: „წინასწარ ოთხი პატარა ბიჭი გამოუშვეს, პროვოკაციის მოსაწყობად. დაცვამ ბარში არ შეუშვა. გაიქცნენ და მერე მობრუნდნენ დანარჩენებთან ერთად. ლანძღვა-გინებით ჩამოვიდნენ. საქართველო-საქართველოს გაიძახოდნენ, ეს ამ ბარებთან და ჩვენთან რა შუაში იყო, ვერ გავიგეთ. ჯერ დაცვის ბიჭები, მერე პოლიცია ჩადგა დაპირისპირებულთა შორის. პატრული დაბნეული იყო, არ იცოდა, რა მოემოქმედა. მაშხალა აანთეს, გეგონება, ეშმაკებს აფრთხობდნენ. ერთი სიტყვით, ორმხრივი მამაპაპური გინება იყო. პატრულს გადაეკიდნენ, გინდა თუ არა, დაცვამ ჩვენი მომხრეები ცემაო. ყველა ვიდეოდაკვირვების თვალიდან ინფორმაცია ამოიღეს და მსგავსი ვერაფერი ნახეს. პოლიცია გვეუბნება, ზარალზე სასამართლოს მიმართეთო. რამდენია რომ არ იხდის და ისე მიდის, თითოეულ ასეთ საქმეზე სასამართლოს როგორ მივმართოთ? მომიტინგეებმა დაგვიბარეს, კიდევ მოვალთო, მოვიდნენ, დავხვდებით. თუ მიტინგის გამართვა უნდათ, იუსტიციის სახლის წინ ან პარლამენტთან გამართონ, ჩვენ რა შუაში ვართ? კანონს არ ვარღვევთ, ნებისმიერი მაკონტროლებელი უწყება შემოვიდეს და შეგვამოწმოს. გაჰყვირიან, ბარებში არ გვიშვებენო და თან აცხადებენ, ბორდელები აქვთო, სად არის აქ ლოგიკა? სად არის ბორდელი, აგერ ჩემი ბარი დაათვალიერეთ, არის ამისთვის გამოყოფილი სივრცე? საცეკვაო მოედანი, სამზარეულო, ტუალეტი და ადმინისტრაციის მისაღები გვაქვს, ესეც გადავსებულია და ადგილი არ არის. ან ირაკლი წერეთელი რატომ მოიყვანეს, მიტინგის ჩასატარებელი სხვა ადგილი ვერ ნახა? როგორც გავიგეთ, მერე უთქამს, ეს რა გაუგებრობაში გამხვიეთო. თუ მაგარი პატრიოტები არიან, სხვაგან გამართონ საპროტესტო აქცია, მისამართი არეული აქვთ. დაუჯერებელია, რომ ამას თვითონ აკეთებდნენ, ვიღაც მართავს ამ პროცესს და ქვეყანაში უცხოელების შემოსვლის წინააღმდეგაა მიმართული. ამათ ვიზას აღარ მისცემენ და ქვეყანაში აღარ შემოუშვებენ. პარლამენტსა და მთავრობასთან გაარკვიონ ეს საქმე, ჩვენ რა დავაშავეთ?“

ჩვენი მეორე რესპონდენტი, მეპატრონე: „ცალკე თემაა ქართველი ახალგაზრდების ქცევა. აქ დაწესებული ფასებია, რაც თითო მაგიდის დაკავებისთვის უნდა გადაიხადო. 50-დან 100 ლარამდე მერყეობს. ამაში შედის გარკვეული მომსახურეობა, თუ დამატება უნდა, კიდევ უნდა გადაიხადოს. მოდიან, ფული არ აქვთ. თან ეს, ძირითადად, ერთი და იგივე კატეგორიას ეხება და დაცვა არ უშვებს. ჯერ, ცოტა ხნით მაინც შემახედეო შიგნით. რა შეხედვა, რის შეხედვა და იწყება გაწევ-გამოწევა, დაცვა ინსტრუქციის თანახმად, უარს ეუბნება, შენ ეს როგორ მაკადრეო და იწყებს ლანძღვა-გინებას, ამას, ბუნებრივია, საპასუხო რეაქცია მოჰყვება. ან ბოლომდე გალეშილია, ორი-სამი ლარი აქვს ჯიბეში და ბარში შესვლა უნდა. ცირკი შიგნით შესვლის შემდეგ იწყება, მაგიდასთან არ ჯდება, იწყებს ცეკვას, რომელიც ნახევარი საათი გრძელდება. კაპიკი ფული არ აქვს და „გოგოს შეკერვა“ უნდა, იწყება სკანდალი, რომელსაც თავიდან ვერ აირიდებ. უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი მუსიკალური ნომრებია. მოგეხსენებათ, აქ არის ასევე თურქული, ირანული, არაბული ბარები. ყველას თავისი კლიენტურა ჰყავს, ზოგან მარტო თურქები შედიან, მეორეგან ირანელები, არაბები, ფერადკანიანები... ეროვნულ მუსიკას ითხოვენ, ძირითადად. დავუშვათ, ზის ბარში ორმოცდაათი ირანელი და ორი ქართველი, ბუნებრივია, უფრო მეტად იქაური მუსიკა იკვრება. ამ დროს ორი ქართველი დებოშს ტეხს და ამ გზით, პატრიოტობაზე თავს დებს. დათრობის მერე, მათში ძალუმად გიორგი სააკაძე იღვიძებს და ჰაიტ ურჯულოებოო! აქ იწყება გამიშვი-გამატარე და საწყალი დაცვა მართლა ცუდ დღეშია. როგორ შეიძლება საქართველოში, ბარში ირანული მუსიკა უკრავდესო. კი, მაგრამ მეპატრონემ ცოტა მოგება ხომ უნდა ნახოს და გადასახადები გადაიხადოს. ეს უცხოელები კიდევ სიმშვიდეს ინარჩუნებენ, პრობლემებს მაქსიმალურად გაურბიან. ვინც ამ ვითარებას შეეჩეხება, მეორედ აღარ მოდის. არიან ისეთებიც, ღამის ყოველ საღამოს აქ რომ ატარებენ და ისვენებენ. პრობლემა გახადა მენიუც — კლიენტურის გათვალისწინებით, აქ სულ რამდენიმე სახის კერძი კეთდება - შემწვარი ქათამი, კარტოფილი და ა.შ. გინდა თუ არა, ღორის მწვადი რატომ არ გაქვთო, ამაზე რა უნდა უპასუხო?“

მესამე რესპონდენტი: „პრობლემაა ქართველების ზღვარგადასული აგრესია. ცოტა დათვრება თუ არა, უცხოელს დედას აგინებს, თითქოს მისი გაზრდილი იყოს. ერთხელაც ასე მოხდა, აქაურმა აგინა არაბს, რომელმაც ქართული იცოდა. მერე ზემოთ ავარდა და იქ გააგრძელა. მის გვერდით სხვებიც იყვნენ, არ მოუთმინეს და სცემეს. გამწარებულმა პატრულს გამოუძახა და ისტერიკაში იყო, ვიღაც არაბმა შუაგულ თბილისში როგორ მცემაო. კი ბატონო, ცემა მიუღებელია, მაგრამ თვითონ არაბს რომ დედა ეგინებინა, ხომ მოკლავდა ადგილზე? პატრული გადარეული იყო, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა, ხვდებოდა, რომ ქართველს მაგრად მიქარული ჰქონდა და თან ნაცემი იყო. ორ ცეცხლშუა იწვოდა. რაკი საუბრის საშუალება მოგვეცა, იმასაც გეტყვით, რომ ცალკე თემაა, უცხოელების მხრიდან ერთმანეთის გატანა, გვერდით დგომა, რაც აქ შემოსულ ადგილობრივებში არ არის. თურქს რომ სიგარეტი ექნება საყიდელი, ფეხით კილომეტრს გაივლის და მისი თანამემამულის მაღაზიაში შეიძენს. აქვე, ბარში, თუ ერთ უცხოელს მაგიდა სავსე აქვს და მეორეს ხალვათად, ადგება და თავის თანამემამულეს აუცილებელს უყიდის, არაფერს მოაკლებს. უყურებს ამ სურათს ჯიბეგაღლეტილი ჩვენებური და კიდევ უფრო აგრესიული და დაუმორჩილებელი ხდება. თავისიანების დახმარება კი არა, თვითონაც გროში არ აქვს და კიდევ უფრო გამოდის მდგომარეობიდან. აგინებს უცხოელებს, მთელ სამყაროს და... ისევ დაცვის წევრებს, ვისაც აქ ელემენტარული წესრიგის დამყარება ევალება. უნდა ნახოთ, შუაღამისას, ზედა სართულზე, ჩამოსასვლელში მდგარი 16-17 წლის ბიჭები — და გამვლელ-გამომვლელ უცხოელს სიგარეტსა და ბოთლ ლუდს სთხოვენ, მათხოვრობენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რა უნდათ აქ ამ ასაკის ბიჭებს, ოჯახში არ ეკითხებიან, სად დადიან და ღამეს სად ათევენ? ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა და არა ის, რომ უცხოელები აქ ყოველ ღამეს შემოდიან და ბარში ფულს ხარჯავენ“.

შემდეგი რესპონდენტი, ერთ-ერთი ბარის დაცვის წევრი: „ყელში გვაქვს ამოსული ერთი და იმავე ხალხის მხრიდან წამოსული დებოში და აგრესია. ვინმეს თუ ჰგონია, ჩვენ უცხოელების ინტერესებს ვიცავთ და ქართველებს ვცემთ, ვავიწროებთ, ძალიან ცდება. ყოველ ღამით, სიკვდილ-სიცოცხლეს ვებრძვით და საკუთარ თავს საფრთხის წინაშე ვაყენებთ. უკაპიკოდ მოდიან, თან გალეშილები და შესვლას ითხოვენ ბარში, სადაც 50 უცხოელი წყნარად დროს ატარებს. როგორ უნდა შევუშვა? მომცენ ნორმალური სამსახური და საერთოდ ამ სუნში შემომსვლელის... სამსახური არსადაა, ოჯახები გვყავს და არსებობა გვინდა? ვიღაც მართავს ამ პროცესს. კანონები ჩვენი მიღებული არ არის, მივიდნენ და პარლამენტთან ჩაატარონ აქცია, მე რას მემუქრებიან და მაგინებენ? თავს დავიცავ, აბა, რას ვიზამ? ფეისკონტროლი ყველგანაა და აქ გაუკვირდათ? ძალიან მინდა, ჟურნალისტებმა ყველას გააგებინონ, რომ საქმე ისე არ არის, როგორც ხატავენ. წესიერად მოიქცნენ და ხმას უბატონოდ არავინ გასცემს. რატომ არ შექმნია აქ პრობლემა რომელიმე უცხოელს? ნორმალურად იქცევა და იმიტომ. ჩვენებურიც, ერთი და იგივე კატეგორიაა, არაფრისგან პრობლემას რომ ქმნის. თან არ ვუშვებთ და თან აქ თურმე პროსტიტუცია ჰყვავის. ხომ შეიძლება მოწესრიგდეს, მოზარდები მაინც არ მოდიოდნენ და ღამეს არ ათენებდნენ. ადვილია, აგრესიის ჩვენზე გამოხატვა და ყველაფრის გადმობრალება“.

ნატო საქართველოს მიერ ალიანსთან აღებული ვალდებულებების შესრულებას დადებითად აფასებს

როგორც ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, საქართველოსთან თანამშრომლობის ბევრი საკითხი თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით წარმატებით ხორციელდება.

„ახლახან დავასრულეთ ყოველწლიური ეროვნული პროგრამის შეფასება. მინდა გითხრათ, რომ ყველა რეფორმამ, რომელიც თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით გატარდა ამ სფეროში, დადებითი შეფასება დაიმსახურა. ჩვენი საუბრის თემა იქნება ასევე ავღანეთში სამომავლო თანამშრომლობის საკითხები. ვემზადებით მხარდამჭერი მისიისთვის და როგორც ვიცი, საქართველოც იქნება ჩართული ამ მისიაში. საქართველო ასევე აპირებს, შეუერთდეს ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს. საქართველოსთან თანამშრომლობის ბევრი საკითხი სწორედ ამ უწყების მიერ, თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით წარმატებით ხორციელდება“, — განაცხადა ნატო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის შემდეგ.

„პირველი“

კეზერაშვილისა და ადეიშვილის ინტერპოლის ძებნილთა სიაში ჩასმას სააკაშვილი უშლიდა ხელს

იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ექსტრადირებისთვის და ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნის დასაწყებად საბუთები მზადდება. ამის შესახებ, პარლამენტის ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებით კი, კეზერაშვილისა და ადეიშვილის მიმართ ინტერპოლით ძებნის დაწყებას მიხეილ სააკაშვილი უშლიდა ხელს.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს აკეთებდნენ, დღემდე ვერ ხორციელდებოდა საერთაშორისო ცირკულარში კეზერაშვილისა და ადეიშვილის ჩასმა, რადგან ამას ხელს უშლიდა მიხეილ სააკაშვილი პირადი ლობისტებითა და კონტაქტებით. ცდილობდნენ, პროცესი შეეჩერებინათ, გადაევადებინათ“, — განაცხადა ბესელიამ.

ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დაკავების და შემდგომი ექსტრადირების მიზნით, ინტერპოლის წითელი ცირკულარები საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილ დავით კეზერაშვილსა და ზურაბ ადეიშვილზე 14 ნოემბერს გამოიცა. ინტერპოლმა საერთაშორისო ძებნილთა სიაში ისინი 15 ნოემბერს შეიყვანა.

დავით კეზერაშვილი საფრანგეთშია დაკავებული. იგი საფრანგეთის სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

კეზერაშვილს პროკურატურა ორ ეპიზოდში ედავება — ე.წ. სპირტის კონტრაბანდის და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისების საქმეებზე. იგი სამართალდამცველებმა ნიცაში, 15 ოქტომბერს დააკავეს. პროკურატურა კეზერაშვილის ექსტრადირებას ითხოვს და ამისთვის საჭირო დოკუმენტები საფრანგეთში უკვე გაგზავნა.

„ვერსინიუსი“

ქართული ცხვრის ექსპორტი ჩავარდა

რა პრობლემების მოგვარებას ითხოვენ მეცხვარეები

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

არაბულ ქვეყნებში წელს ქართული ცხვრის ექსპორტი შეწყდა... არაბები, რომლებიც ქართული ცხვრის ყველაზე დიდი ექსპორტიორები და გურმანები იყვნენ, ამჯერად, საქართველოში ცხვრის შეძენაზე უარს აცხადებენ. არადა შარშან, საქართველოდან ყველაზე მეტი ცხვარი სწორედ არაბებმა იყიდეს. მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარის, ბექა გონაშვილის განცხადებით, 2012 წელს არაბულ ქვეყნებში 80 ათასი სული ცხვარი გავიდა. წელს საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი ქვეყანა, ძირითადად, რუმინეთმა და მოლდოვამ ჩაანაცვლა, სადაც არაბებმა ცხვარს შედარებით დაბალ ფასში მიაგნეს. მართალია, საქართველოში ცხვარზე ფასი უკვე დაეცა, მაგრამ არაბები მაინც არ ჩანან. ამჟამად, ქართული ცხვრის ექსპორტი მხოლოდ აზერბაიჯანში ხორციელდება და ერთი სულის ფასი 150 ლარამდეა. თურქეთს არ სურს ქართული ცხვრის შესყიდვა, ირანმა კი, ბრუცელოზით დაავადებული ცხვრის შესყიდვის შემდეგ ატეხილი ხმაურის ფონზე, საქართველოდან ექსპორტი აკრძალა. დანარჩენი ქვეყნები მიზეზად ფასის სიძვირეს ასახელებენ. მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი მიიჩნევს, ასეთ სურათს მეცხვარეობის სფეროში არსებული პრობლემათა ჯაჭვი ქმნის და ვითარების გამოსასწორებლად ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები დაუყოვნებლივ უნდა გადადგას.

— დედოფლისწყაროში 120 ათასი ჰა საძოვარია, რაც მსხვილი მაჩვენებელია და მეცხვარეობის კუთხით ერთ-ერთი წამყვანი რაიონი უნდა ვიყოთ. ჩვენს ქვეყანაში ცხვრის ექსპორტი 2009 წლიდან ვითარდებოდა. იმ წელს ექსპორტზე გავიდა 266 244 სული, მომდევნო წლებში 178 ათასი, შემდეგ 150 ათასი, შარშან კი უკვე 120 ათასი. კლების მიზეზი ისაა, რომ პირველ წლებში არაბები ყველა სახის ცხვარს ყიდულობდნენ. იმ ქვეყნებში უფრო მამალ საქონელზეა მოთხოვნა, მაგრამ ბებერ ცხვარსაც ყიდულობდნენ და დედალსაც, ძალიან უპრეტენზიო შემსყიდველები იყვნენ, ერთგვარი ბუმი შეიქმნა და ფასებმაც აიწია — მანამდე თუ 50 ლარზე მერყეობდა, იმხანად ფასი 150-170 ლარამდე გაიზარდა. 2009 წლამდე რეალიზაცია ძალიან გვიჭირდა. შემდეგ მყიდველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ამისთვის ხალხი მოუმზადებელი აღმოჩნდა. ყველაფერმა ქაოტური სახე მიიღო — ბევრმა ცხვარი მთლიანად გაყიდა, თანხა დახარჯა და გამრავლება შეწყვიტა. რა თქმა უნდა, მეცხვარეების ნაწილმა შვებაც იგრძნო, ნაწილი უფრო დაინტერესდა და მის გამრავლებას მიჰყო ხელი, მაგრამ 2010 წელს, ახალი საგადასახადო კოდექსით, რაიონების მიხედვით, გადასახადები გაზარდეს, რის გამოც მეცხვარეებმა საქონელი შეამცირეს და ამან უარყოფითი შედეგებიც მოიტანა.

წლევანდელი ექსპორტი, აგვისტოს მონაცემებით, იყო 60 000 სული, აქედან 100% აზერბაიჯანმა გაიყვანა. საერთოდ, ჩვენი ცხვარი ცხიმიანია. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული თუშური ცხვარი მომგებიანია არაბებისთვის, რომელთაც დღესასწაულებზე დასაკლავად სჭირდებათ. საკლავს სალოცავს სწირავენ და ცხვარი იქ ძვირი ღირს. ჩვენი ცხვრის ბაზარი, გარკვეულწილად დამოკიდებულია მუსლიმანურ დღესასწაულებზე. მაგალითად, მხოლოდ ჰაჯის დღესასწაულზე, რომელიც მათთან 15 ოქტომბერს მექაში აღინიშნა, ერთ დღეში დაიკლა მხოლოდ ავსტრალიიდან შესული 2 700 000 ცხვარი. ცხადია, ჩვენი ქვეყნიდან გასული ცხვარი ამ მაჩვენებელთან ზღვაში წვეთია, თუმცა ეს ბაზარი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

— წელს არაბული მხარისგან არ იყო გამოხმაურება, რატომ აღარ ინტერესდებიან ქართული ცხვრით?

— მათთან პირადი კავშირი გვაქვს, მაგრამ როცა ფასი ვუთხარით, აღმოჩნდა, რომ 1-1,5 დოლარით მეტს ვუსახელებდით. მსოფლიო ბაზარზე ფასმა დაიწია და მილიონობით ცხვარი შემოვიდა ავსტრალიიდან. წელს რუმინეთი და მოლდოვა იყო ჩვენი კონკურენტი. მოლდოვა ძალიან დაბალ ფასში ტვირთავდა საქონელს. ჩვენი მეზობელი სომხეთი კი 2 დოლარად სთავაზობდა, რაც ძალიან დაბალი ფასია, ეს მაშინ, როცა ჩვენი ცხვრის ადგილზე შესასყიდი ფასი, ცოცხალი წონა 5 ლარი და კიდევ უფრო მეტი გამოდის, ამას ხომ ემატება ტრანსპორტირებისა და ანალიზების თანხაც.

— ქართველ გლეხს რა უჯდება ერთი ცხვრის შენახვა?

— ჩვენი გაანგარიშებით, 110-115 ლარი, თუ საძოვრის მეპატრონისა და დამატებით გადასახადს არ იხდის ან მიწას არ ქირაობს. მეცხვარეები ცდილობენ, ნაკლებ ტერიტორიაზე იყოლიონ მეტი საქონელი და ხარჯები დაფარონ. მათაც კარგად იციან, რომ ეს დაუშვებელია, მაგრამ სხვა გზა არ არის. ბევრ დაავადებას ჩვენი ფერმერები მკურნალობენ მამაპაპისეული მეთოდებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია და დიდ ზარალს ვღებულობთ, ეს მიდგომაც შესაცვლელია. არც დამატებით საკვებს იყენებენ, რომ ცხვარი მოძლიერდეს.

ფასს აძვირებს გადასახადები — როდესაც საძოვრების გადასახადი გაიზარდა არ ჩატარებულა არანაირი კვლევა. ვერ დავადგინეთ რაიონების მიხედვით, რა ნიშნით დადგინდა ტარიფი. მაგალითად, მწირ სახნავ მიწაზე 67 ლარია, კარგ მიწაზე — 87, მაგრამ არც კოდექსში, არც ამ დადგენილებაში არ არის განსაზღვრული წესი, რითაც გაირკვევა, რომელი უწყება რა პროცედურებით ადგენს, რომელია მწირი მიწა და რომელი უხვმოსავლიანი. საძოვრებზე იყო 3 ლარი გადასახადი და გახდა 5 ლარი. აუცილებელია, საძოვრების ფასი გაიაფდეს. მიღებული სტანდარტით, 1 ჰა საძოვარზე 1 სული ცხვარი უნდა ძოვდეს. საქართველოში გვაქვს 250 000 ჰა საძოვარი, სადაც 700 000 სული ცხვარი გვყავს ანუ 1 ადგილზე 4 ცხვარი ძოვს. ეს საკითხი დედოფლისწყაროს უფრო მეტად აწუხებს, რადგან გაუდაბნოებისკენაა მიდრეკილი და გადაძოვებაც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად სახელდება.

— ხელისუფლებამ როგორ უნდა შეუწყოს ხელი მეცხვარეობის განვითარებას?

— სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა დაგვეხმაროს საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაში, რადგან შესაძლებელია, ხვალ სხვა კონკურენტი ქვეყნები გამოჩნდეს და ეს გაგრძელდეს დაუსრულებლად. რამდენიმე წლის წინ, ბაკურ კვეზერელთან ერთად ვიმყოფებოდით ირანში, სადაც ვთხოვეთ, მოეცათ ნებართვა, საქართველოდან შესულიყო ცხვარი. ამას მივაღწიეთ, მაგრამ უკან დაბრუნებულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ამ ბიზნესში სხვადასხვა ჯგუფები ჩაერთო და შეიქმნა სრული ქაოსი. სამინისტრომ ვითარება ვეღარ გააკონტროლა და ირანში ბრუცელოზით დაავადებული საქონელი შევიდა, რის გამოც აიკრძალა ქართული ცხვრის ექსპორტი. ეს ხმაური სკანდალში გადაიზარდა და საქართველომ ძლივს დაიხსნა თავი, მსოფლიო კარანტინი არ გამოცხადებულიყო. საუდის არაბეთის ბაზარიც ასე დავკარგეთ. ახალი ხელისუფლებისგან ჯერჯერობით არ ყოფილა ინტერესი, ყველა ფერმერს ერთად შეგვხვედროდნენ და ამ პრობლემებზე გვემსჯელა.

— როგორც ვიცი, მატყლის რეალიზების პრობლემაც სერიოზულად დგას, ბევრი მეცხვარე ამბობს, რომ ხშირად მატყლის გადაყრა უწევთ...

— სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მატყლის რეალიზების პრობლემა მუდმივად გვაქვს. მანამდე რუსეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გადიოდა. რუსეთში შინელის მოსაქსოვად გაჰქონდათ, ამის შემდეგ აღარსად გასულა. მხოლოდ აზერბაიჯანში გადიოდა მცირე ოდენობით, ხალიჩების მოსაქსოვად. მთავარი პრობლემა მატყლის ხარისხია. ჯიშების აღრევაც მოხდა და მატყლის ხარისხის გაუმჯობესება მერინოსების შემოყვანით ვერ მოხერხდა. როდესაც უცხოელები გვეკითხებიან, რა ხარისხის მატყლი გვაქვს, ჩვენ კონკრეტულ პასუხს ვერ ვაძლევთ, რადგან ერთი ანალიზით სხვადასხვა პასუხებს ვიღებთ.

— გადასარეკი ტრასების რეაბილიტაცია უნდა დაწყებულიყო, რა ვითარებაა ამ კუთხით?

— ბოლო სამი წელია, ერთსა და იმავე ადგილს ვტკეპნით, წინსვლა არ გვაქვს. ვცდილობთ პერსპექტივა გამოჩნდეს, მაგრამ დიდი ხანია, საიმედო არაფერი ხდება!

საერთოდ, ამ დარგს მიხედვა სჭირდება — ახალი ტექნოლოგიები და ჯიშები უნდა შემოვიტანოთ, პრინციპი და მიდგომა შევცვალოთ, ორგანული მეურნეობების პროდუქტი ხომ გაცილებით ძვირი ღირს. სახელმწიფო უნდა დაგვეხმაროს, რომ ამ ყველაფრის სერტიფიცირება მოვახდინოთ და მოვიძიოთ ბაზარი. მით უმეტეს, თუ თავისუფალი ეკონომიკური ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს, ევროპაში გაცილებით დიდი ბაზარია და ქართველი მეცხვარეც ამოისუნთქებს.



კიბოსთან მებრძოლი ხილი

ამერიკელმა მეცნიერებმა დაასახელეს ხილი, რომელიც ყველაზე ძლიერ ანტიკანცეროგენს შეიცავს და სიმსივნესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა — ეს გუანაბანა გახლავთ, რომელსაც ასევე „არაჟნის ვაშლის“ სახელით იცნობენ. ამ ხილის წვენი მომაკვდინებლად მოქმედებს სიმსივნურ უჯრედებზე, ამავდროულად სასიამოვნო გემო აქვს და არ იწვევს ისეთ ნეგატიურ შედეგს, როგორც ქიმიოთერაპია. სწავლულები აცხადებენ, რომ გუანაბანას ექსტრატი წერტილოვან ზემოქმედებას ახდენს — ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს, ჯანმრთელს კი არ აზიანებს. 40 წლის განმავლობაში 20-ზე მეტი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ამ ხილის ექსტრატი ანადგურებს 12 ტიპის კიბოს ავთვისებიან უჯრედებს. გუანაბანა დაბალი ხეა, ნაყოფს კი ხშირად იყენებენ კოქტეილების დასამზადებლადაც. სწავლულები აცხადებენ, რომ ეს ხილი სოკოს საწინააღმდეგო, ანტიპარაზიტული თვისებებითაც გამოირჩევა, არეგულირებს არტერიულ წნევას, არის კარგი ანტიდეპრესანტი და ფართო მოხმარების სპექტრის ანტიბიოტიკი.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲠᲘᲛᲘ — უამრავი საქმიანი შეხვედრა გელით, შესაძლოა, ხმაურიან წგეულებაზეც მოგიწოთ წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების ცენტრში ყოფნა არ გსურთ.

ᲙᲣᲠᲝ — ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რასაც ახლობელი ადამიანის დახმარების გარეშე თავს ვერ გაართმევთ. ნუ იტევეთ უარს თანდგომაზე, რადგან ამით მხოლოდ თქვენ დაზარალდებით.

ᲪᲣᲯᲔᲑᲘ — კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებას გადაეურებით. თუ ამბიციებს დაიოკებთ, ნაკლებ პრობლემას შეიქმნით.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — მიხვდებით, რომ გარშემომყოფებზე ერთი თვალთ მაღლა დგახართ, რაც პასუხისმგებლობას გიორმაგებთ. უმჯობესია, ნაკლებად კრიტიკული იყოთ მათ მიმართ ვინც გიყვართ — მხოლოდ ასე შეძლებთ კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ᲚᲝᲛᲘ — სიმართლის გასარკვევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. შესაძლოა, ვიღაცას არ მოეწონოს თქვენი ცნობისმოყვარეობა, ამიტომ სამომავლო გეგმები მხოლოდ მასთან განიხილეთ, ვისაც ენდობით.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — საქმიანი შეხვედრა ნაყოფიერად ჩაივლის, თუმცა ნაკლებად ემოციური უნდა იყოთ და ნებისმიერი გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღოთ.

ᲯᲐᲒᲠᲘᲡᲘ — გარშემომყოფთა პრობლემების მოგვარება სხვა დროისთვის გადადეთ. დღეს აჯობებს მხოლოდ საკუთარი საქმეებით დაკავდეთ. ყველაფერს ერთად ნუ შეეჭიდებით და ვითარების ადეკვატურად იმოქმედეთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲐᲚᲘ — შესაძლოა, რეალობისგან მოწყვეტილი აღმოჩნდეთ. ერთი მხრივ, ეს ცოტას ამოგასუნთქებთ, მეორე მხრივ კი, არაა გამორიცხული ხელი შეგეშალოთ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — მოთმინება გამოიჩინეთ, უახლოესი პერიოდის განმავლობაში ნაკლებად მიიღებთ სასიხარულო ინფორმაციებს, თუმცა ეს ყველაფერი დროებითია და მალე ვითარება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

ᲝᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — თქვენი უნარი, იგრძნოთ და შეამჩნიოთ ის, რასაც სხვები ვერ ხედავენ, გაძლიერდება. სწორედ დღეს შეძლებთ მიიღოთ პასუხები იმ კითხვებზე, რომელიც კარგა ხანია გაწუხებთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — შესაძლოა, აპათიის მსხვერპლი გახდეთ. ამ მდგომარეობასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი კი მეგობრებთან ურთიერთობაა. ნუ მისცემთ თავს დასვენების უფლებას.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ — ყურადღებიანი მსმენელის როლში ყოფნა მოგიწევთ, რაც მოსაბეზრებელია, მაგრამ დროებით სხვის პრობლემებზე კონცენტრირება საკუთარს დაგვიწყებთ.

ᲡᲐᲮᲚᲘ ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲐ

ფლორიდის შტატში მცხოვრებმა 57 წლის მამაკაცმა, ჰარი სპერლმა სახლი საყვარელი საჭმლის — ჰამბურგერის მუზეუმად აქცია. 23 წლის განმავლობაში ჰარი აგროვებდა ყველაფერს, რასაც კი ამ პროდუქტთან კავშირი აქვს: სათამაშოებს, ტანსაცმელს, მობილურ ტელეფონებს, ჭურჭელს, სუვენირებს... მის საწოლს გიგანტური ჩიზბურგერის ფორმა აქვს, რომელზეც პატარა ჰამბურგერბალიშები აწყვია, ავტოფარეხში კი მისტერ სპერლს მოტოციკლი Hamburger Harley უდგას, რომელიც ალბათ, ერთადერთი მოდელია მსოფლიოში. ჰარი ძალიან ამაყობს საკუთარი კოლექციით და მას Burgerbilla-ს უწოდებს, თუმცა ბედის ირონიით, სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, კოლექციონერს არ შეუძლია, ყოველდღე საყვარელი პროდუქტის გემოთი დატკბეს, მაგრამ ეს დიდად არ აწუხებს — იგი ხომ მსოფლიოში ჰამბურგერის ერთადერთი მუზეუმის მფლობელია.

სოციალური ქსელები ფსიქიკას აზიანებს

როგორც სწავლულები აცხადებენ, მარტოხელა მანდილოსნებმა სოციალურ ქსელებში წარმატებული მეგობრების პროფილები არ უნდა ათვალიერონ, რადგან ამან შესაძლოა, მათ ჯანმრთელობას ავნოს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ FACEBOOS თუ სხვა ქსელები მომხმარებლებს იდეალური ცხოვრების, იდეალური ქორწილისა და ბავშვების სურათებით გამუდმებით „ატრერორებენ“, რაც ადამიანში შურს იწვევს, შედეგად კი, ჩნდება შეგრძნება, თითქოს მისი ცხოვრება უღიმღამო და ცარიელია. სწავლულები განსაკუთრებით მარტოხელა ქალებს მოუწოდებენ, უარი თქვან სოციალურ ქსელებზე.

ᲚᲝᲙᲝᲙᲘᲜᲔᲑᲘ ᲙᲐᲜᲡ ᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲡ

იაპონელმა ექსპერტებმა მიაგნეს მეთოდს, რომლის წყალობითაც კანის დაბერებას შეებრძოლებიან, საიდუმლო კი ლოკოკინებია, რომლებიც რეგენერაციის უნარით გამოირჩევიან. დღეს ამომავალი მზის ქვეყნის სილამაზის სალონებში მსურველებს ახალ, 60-წუთიან პროცედურას სთავაზობენ ლოკოკინის ლორწოს გამოყენებით, რომლის შემდეგაც კანი შესამჩნევად იჭიმება, გლუვი და ქორფა ხდება. ლოკოკინის ლორწო შეიცავს პროტეოგლიკანებს — ცილოვან ნაერთებს, რომლისგანაც იქმნება კოლაგენი და ელასტინი.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲪᲕᲠᲘᲛᲘ — ნურავის ნურაფერს დაუმტკიცებთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე და ამისთვის არაფერი დაიშუროთ, მიღწეულით კი საკმაოდ კმაყოფილი დარჩებით.

ᲙᲣᲠᲝ — მოაგვარეთ ურთიერთობები საქმიან პარტნიორებთან. მიახვედრეთ ისინი, რომ გადამწყვეტი სიტყვა თქვენ გეკუთვნით და ყველაფერი ისე იქნება, როგორც გეგმავდით.

ᲪᲣᲯᲔᲑᲘ — ნუ შეუშინდებით სიახლესა და ცვლილებებს, თუ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოქმედება გადაწყვიტეთ, ნუღარ დააყოვნებთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — შესაძლოა, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, მაგრამ ყველაფერს ერთბაშად ნუ მოედებით, წინააღმდეგ შემთხვევაში წამოწყება წამოწყებად დარჩება.

ᲚᲝᲛᲘ — უმართლებს მას, ვისაც რისკი არ აშინებს. დღეს ადვილად მოაგვარებთ ფინანსურ საკითხებს. სამსახურთან დაკავშირებით კი სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ — აჯობებს, ჯერ კარგად დაფიქრდეთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — თქვენი სწრაფვა ლიდერობისკენ გარშემომყოფებში გადიზიანებას იწვევს. გაითვალისწინეთ, რომ ზედმეტი სიამაყე კარგს არაფერს მოგიტანთ.

ᲯᲐᲒᲠᲘᲡᲘ — თქვენი დახმარება უახლოეს ადამიანს დასჭირდება, რაზეც უარი არ უნდა უთხრათ. ეცადეთ მეტად ყურადღებიან იყოთ გარშემომყოფების მიმართ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲐᲚᲘ — რამდენიმე იდეის ერთდროულად განხორციელება გინდათ, რაც მეტად სარისკოა. გაითვალისწინეთ კომპეტენტური ადამიანების რჩევები და მხოლოდ ასე იმოქმედეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ხელს ვერაფერი შეგიშლით. იმოქმედეთ და არანაირი საფრთხის წინაშე არ დაიხიოთ უკან. ყველაფერს სწრაფად მოაგვარებთ.

ᲝᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენამ, შესაძლოა, გეგმები თავდაყირა დააყენოს. მთავარია, სამშვიდე შეინარჩუნოთ და ვითარება აკონტროლოთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგიგროვდათ, სწორად ჩამოაყალიბეთ აზრი და რჩევისთვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. ეცადეთ, დრო საკუთარ თავსაც დაუთმოთ.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ — შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ უფუნქციოდ ხართ და თქვენი არავის ესმის, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითა და მდგომარეობა მალე უკეთესობისკენ შეიცვლება.

სუდოკუ ამაღელვებელი

ადვილი

6				1	7		4	
	4	3	5				9	7
7		6				4		
1				7				2
		2				3		5
4	1				9	2	3	
	9		2	5				1

სტანდარტი

			7	9	2	5		3
			3	8		2		6
							8	
1	8			6		3		
		3				6		
		2		3			7	1
	7							
8		6		2	7			
2		5	9	1	3			

რთული

			6	1		8		
	6				8			7
	1		7		3		9	4
	2	5			1			
	9						2	
			2			3	4	
1	5		8		7		3	
8			9				7	
		9		3	6			

ექსპერტი

		7		5		1	9	
			4					
	2					3		
8					7			1
		4	8		9	7		
6			5					8
		8					3	
					6			
	3	9		7		2		

სოფლის მაცხოვრებლები უფრო ბედნიერები არიან

დიდი ბრიტანეთის სტატისტიკის სამმართველომ, 165 ათასი ადამიანის გამოკითხვის შედეგად დაადგინა, რომ სოფლის მაცხოვრებლები თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ, ვიდრე ქალაქელები. ყველაზე უბედური ადამიანები ურბანიზებულ რაიონებში ცხოვრობენ — ბრიტანულ ჩამონათვალს სათავეში ჰარლოუ და ბრეტვუდი უდგას, ყველაზე ბედნიერი ბრიტანელები კი ჩრდილოეთ ირლანდიაში, ფერმენაუში ცხოვრობენ. კვლევის ავტორები გამოკითხვის შედეგებს „ამოუცნობს“ უწოდებენ, რადგან ადრინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბედნიერება ეკონომიკურ ფაქტორებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას ეფუძნებოდა. ახლა აპირებენ დამატებითი კვლევის ჩატარებას იმის გასარკვევად, რატომ არიან პროვინციალები უფრო ბედნიერები.

ლუდი ტვინის დეგრადაციას იწვევს

დღეს საკამათო მოსაზრებები არსებობს ლუდის სასარგებლო თუ მავნე თვისებების თაობაზე. ამ ქარვისფერი სასმელის მოყვარულები მის დადებით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა ახლახან აღმოჩნდა, რომ ლუდი მავნე სასმელი ყოფილა და კვირაში ლიტრანახევარი ეს ქაფიანი სიამოვნება საკმარისია, ადამიანის ტვინის აქტივობა 20%-ით რომ დაქვეითდეს.

ესპანელი სწავლულები სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტიდან, სამწლიანი კვლევების შედეგად აცხადებენ, რომ ლუდი აჩლუნგებს ტვინს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ლუდის რეგულარული მომხმარებლები იძულებულნი არიან, გონება 20%-ით მეტად დატვირთონ, მარტივი ამოცანები რომ ამოხსნან. ექსპერიმენტებში მონაწილე მოხალისეთა ნაწილი კვირაში ერთხელ მაინც სვამდა 1,5 ლიტრ სასმელს, ნაწილი კი საერთოდ არ მიირთმევდა მას. ჩატარებულმა ტესტირებამ კი ცხადყო, რომ ლუდის მოყვარულთა ჯგუფი, გაცილებით მეტ ძალისხმევას ხარჯავდა ამოცანების ამოხსნაზე.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

4	6	7	1	9	8	5	3	2
3	5	2	7	6	4	9	1	8
1	9	8	5	3	2	6	7	4
9	1	3	4	2	6	8	5	7
2	8	6	9	5	7	1	4	3
7	4	5	3	8	1	2	9	6
8	3	1	2	4	9	7	6	5
6	7	4	8	1	5	3	2	9
5	2	9	6	7	3	4	8	1

სტანდარტი

1	9	3	8	2	6	7	5	4
4	8	7	5	3	1	2	9	6
6	2	5	7	4	9	1	8	3
8	3	2	4	5	7	6	1	9
5	1	9	6	8	3	4	2	7
7	6	4	1	9	2	5	3	8
3	7	1	2	6	8	9	4	5
2	5	8	9	7	4	3	6	1
9	4	6	3	1	5	8	7	2

რთული

4	3	2	8	7	6	9	5	1
6	5	1	2	4	9	8	3	7
8	9	7	3	5	1	2	6	4
3	8	9	1	6	7	5	4	2
7	6	5	4	3	2	1	9	8
2	1	4	9	8	5	3	7	6
5	4	8	7	2	3	6	1	9
1	7	3	6	9	8	4	2	5
9	2	6	5	1	4	7	8	3

ექსპერტი

8	4	6	3	2	1	9	7	5
1	7	5	9	4	8	6	3	2
3	2	9	6	7	5	8	4	1
6	5	4	8	3	2	7	1	9
7	3	2	1	9	6	5	8	4
9	1	8	7	5	4	3	2	6
2	9	7	5	1	3	4	6	8
5	6	1	4	8	7	2	9	3
4	8	3	2	6	9	1	5	7

მე-12 გვერდი: 1. ანდამატი; 2. ნოსტალგია; 3. ალიზი; 4. აკინი; 5. ანტიგონე; 6. ნოხი; 7. ისააკ; 8. ოტური; 9. ასპირინი; 10. ნეისმიტი; 11. ლუარა; 12. იბისი; 13. ოხრახუში; 14. იერემია; 15. ასკილი; 16. კაიაკი; 17. ანილინი; 18. არტემისია; 19. „ზიპო“; 20. ნეაპოლი; 21. ანაგრამა; 22. ასტარტე; 23. როკადა; 24. „აუდი“; 25. კლიშე; 26. ოლე; 27. პარისი; 28. აკვალანგი; 29. ტირე; 30. ტალი; 31. გიზა; 32. განა; 33. კონკა; 34. იურა; 35. ადმა; 36. იგლუ; 37. ოსტი; 38. ორგია; 39. ვარიეტე; 40. მამალი; 41. სეგიდილია; 42. რამპა; 43. იო; 44. ისლი; 45. ნოე; 46. რული; 47. კარაბინი; 48. ტყე; 49. მაისი; 50. იაუზა; 51. ერგი; 52. ოსპი; 53. მანიანი; 54. სია; 55. პან; 56. გადია; 57. ტუ; 58. ზმა; 59. ახო; 60. ნოკაუტი; 61. გო; 62. ინა; 63. ნო; 64. ანგელა; 65. პაიკი; 66. ნინია.

ქემწვარი კარტოფილი დეპრესიას იწვევს?

როგორც აღმოჩნდა, შემწვარი კარტოფილის მოხმარებამ, შესაძლოა, ღრმა დეპრესია გამოიწვიოს, — ეს დასკვნა ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებს ეკუთვნის, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ფსიქიკისთვის ნახშირწყლებით გაჯერებული საკვები მავნებელია. კვლევა 12 წელს გრძელდებოდა, რომლის მონაწილეც, სხვადასხვა ასაკის, 43 ათასი ქალი იყო და მათ ექსპერიმენტის დაწყებამდე, არასოდეს ჰქონიათ დეპრესია — ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ზუსტი მონაცემების მისაღებად. კვლევის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ნახშირწყლებით გაჯერებულ პროდუქტსა და დეპრესიას შორის კავშირი უდავოდ არსებობს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

გიორგი მარგველაშვილი — საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი და ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი

„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის!“

გიორგი მარგველაშვილი

17 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას 53 ქვეყნის დელეგაცია და 220 სტუმარი დაესწრო, მათ შორის ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე, რომელიც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა, აშშ-ს დელეგაციას წარმოადგენენ რაჯივ შაჰი — USAID-ის ხელმძღვანელი და თომას მელია, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე. ინაუგურაციას დაესწრო ნატო-ს სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი, ეუთო-ს გენერალური მდივანი ლამბერტო ზანიერი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. მიუხედავად მიღებული მიწვევისა, ინაუგურაციას არ ესწრებოდნენ არც ედუარდ შევარდნაძე და არც მიხეილ სააკაშვილი. მიწვევა არ მიუღია არასაპარლამენტო ოპოზიციას, საპარლამენტომ კი თავად თქვა უარი და განცხადებაც გაავრცელა: **„27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს გამარჯვება მიულოცა. ამით ჩვენ გამოვხატეთ პატივისცემა ამომრჩევლის მიმართ და გადავდგით ნაბიჯი, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების ცივილიზებული სტანდარტის შესაბამისია. სამწუხაროდ, არჩევნების შემდეგ, პირველივე საჯარო განცხადებაში, არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ არ ითანამშრომლებს ოპოზიციასთან, ხოლო პრემიერმა ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს პირდაპირი შეურაცხყოფა მიაყენა და დაბალი პოლიტიკური კულტურა დასწამა. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას უკლებლივ ყველა ამომრჩევლის მიმართ, პატივისცემას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, მაგრამ იმ პირობებში, როცა გამარჯვებული პოლიტიკური ძალა არა გაერთიანების, არამედ კონფრონტაციის სურვილითაა შეპყრობილი, როცა უკანონო პატიმრობაში რჩებიან ჩვენი თანამებრძოლები, მათ შორის პარტიის გენერალური მდივანი, ხოლო ათასობით მხარდამჭერი დაკითხვებისა და პოლიტიკური დევნის წნეხის ქვეშ არის, ინაუგურაციის საზეიმო ღონისძიებაზე დასწრება შეუძლებლად მიგვაჩნია“.**



ინაუგურაციის ცერემონია ერთ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გმირთა მოედანზე პატივი მიაგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მეომართა ხსოვნას და მემორიალი გვირგვინებით შეამკო. 17 ნოემბერს, მთელი დღის მანძილზე გაიმართა ოფიციალური შეხვედრები, ლანჩი, გალა-კონცერტი და საზეიმო ცერემონიალი დასრულდა „შერატონ მეტეხი პალასში“ ოფიციალური მიღებით.

საქართველოს ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ძალაში შედის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანა ნახევრადსაპრეზიდენტო და ნახევრადსაპარლამენტო მოდელზე გადადის. ამოქმედდება 2010 წლის ოქტომბერში მიღებული კონსტიტუციური ნორმები. ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტის პოსტის დაკავებას მთავრობის ხელახალი ფორმირება მოჰყვება, თუმცა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს წარადგენს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი. პრეზიდენტი ვალდებული იქნება, პრემიერ-მინისტრის პოსტზე სწორედ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დასახელებული კანდიდატი დანიშნოს. ასევე, მთავრობა ამჯერად უფლებამოსილებას არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე იხსნის, ხოლო ნდობის გამოცხადება ახალი კონსტიტუციით დადგენილი წესით მოხდება. ახალი კონსტიტუციით იზრდება მთავრობის უფლებამოსილებები და თავად მთავრობის ხელმძღვანელის ძალაუფლება. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი მთავრობა ხდება, რომელიც მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. მთავრობის საქმიანობას მთლიანად პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მას და განახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს. პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე მთავრობის წევრების მოხსნა-დანიშვნისთვის პრეზიდენტის თანხმობა აღარ დასჭირდება და შესაბამის გადაწყვეტილებებს, პრეზიდენტის გარეშე მიიღებს.

პირველი ბრძანებულება, რომელსაც გიორგი მარგველაშვილმა 17 ნოემბერს ხელი მოაწერა, ბიძინა ივანიშვილისთვის უფლებამოსილების მინიჭებაა, დროებით, ახალი მთავრობის ფორმირებამდე, შეასრულოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობა.